

କ୍ଷେତ୍ରପତ୍ର

№ 8-9 (71) 1.09.2015 - 1.10.2015 3360: 2 3360

ყოველთვიური გამოცავა



မြန်မာ



କ୍ଷୁଣ୍ଣ କ୍ଷୁଣ୍ଣତାପ୍ରକାଶ ମାହିନୀଙ୍କ ବ୍ୟାପକ ପରିଚୟ ପାଇଁ ପରିଚୟ କାଳୀଙ୍କ ପରିଚୟ



20



፲፻፲፭



59 გოლი
შემომავალი
კლებსაძრევი
იუგოსტ



საქართველოს
ეკლესიის
მინიჭა სიცოდა
ნიკორძოშვილის
ეპისკოპოსად
არქიმანიზაციი
ვასტანგ
ლიკარტების
გამოაჩინა



**მუნიციპალიტეტი
გურიაშვილი**



ԱՐԱՆ
ԹԱՎՈՅԻՆ
ԼԵԿՈՒՄ



33 40



კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების უსახელი“ მიზანები



დავით ხელაშესახლი

დავით ხიდაშელი, პროფესიით ხატმწერი, აქტიურად მონანილეობს საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ გამართულ სხვადასხვა გამოფენებში. წლების განმავლობაში მან რამდენიმე პერსონალური გამოფენაც გამართა. გარდა ხატების და ფრესკებისა ქმნის წიგნის ილუსტრაციებს.

დავითის მიერ მოხატულია ოცამდე ეკლესია, რომელთა შორის აღსანიშნავია ნარიყალას, ბეთლემის, თამარის და ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიები.

მის მიერ შექმნილი ხატები და ფრესკები ინახება ეკლესიებსა და კერძო კოლექციებში აშშ-ში, რუსეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საფრანგეთსა და ავსტრიალიაში.


დავით ხიდაშელი თბილისის სასულიერო აკადემიაში ხატმწერლობას ასწავლის.



სარჩევი



შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა - ღვთისმშობლობა 2 ონის სინაგოგა 3 „მაღალმთანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი მიღებულია 4 რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთში ლორის და ხე-ტყის დასამზადებელი საწარმოები აშენდება 4
თინათინ თაბაგარი — რკინის პოლკოვნიკი სამოცი წლისაა 6
დავით ჯაბაშვილი — ვისთვის და რატომ იქმნება მთის მინისტრის პოსტი? 8
საქართველოს ეკლესის წმინდა სინოდმა ნიკორწმინდის ეპისკოპოსად არქიმანდრიტი ვახტანგ ლიპარტელიანი გამოარჩია 10
გურამ თოდაძე — ეძღვნება მეუფე ელისეს ხსოვნას 11
მეუფე ელისე — *** (საფქვავი..) 11 ამბროლაური სრულიად საქართველოს ამცნობს 12
რეზო ბერაძე — კაცი, რომელმაც გულს გულით უმკურნალა! 14
57 მატჩისა და 59 გოლის შემოქმედი ალექსანდრე იაშვილი 18
გივი კაციტაძე — მამაჩემის სახელმძღვანელოს შესწავლა განსაკუთრებით ახლაა საჭირო 20



ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ია გაგოშიძის ოჯახური იდილია.... 23



სოფიო ხათაშვილი — ჩემი თავგადასავალი რაჭაში..... 24



რეზო ნოდარიშვილი — კაცი, სიკეთის ლეგენდა 26



ლელა ტყეშელაშვილი

როცა სიტყვა და საქმე ერთმანეთს ემთხვევა, შედეგი არ აყოვნებს.... 27



ვეფხია გავაშელი — მშვენიერების მზე ჩაესვენა..... 30



სოფიო რეზვიაშვილი —

კეთილმოსავი ქალის ოქროსფერი შემოდგომა 32



გივი სიხარულიძე —

ნოველები წიგნიდან „დიდება შენს საქმეს, თემურ“! 35



დავით კიკოლაშვილი —

დაბრუნებული საუნჯე 36



ივანე ბაგრატიონ-ბატონიშვილი ჭიჭინაძეები 38



გიორგობიანის ნაამბობი —

შეხვედრა ბერ პაისისთან - დღემდე არ ვიცი, რა ენაზე ვესაუბრებოდით ერთმანეთს. 39



ამბროსიჩის სიყვარულის

აქილევსის ქუსლი 40



ამ მარტობას როგორ გავუძლო შევყურებ ცარიელ კედლებს... 43



თინათინ მაჭარაშვილი —

ჩვენი მანერები სარკეა ჩვენი სულიერი მდგომარეობისა 44

მთავარი რედაქტორი — **ნინო რახევიაშვილი**

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —

გორგა გულაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დალი ჯვარშვილი

ტექსტი ააწყო

თავარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ძვირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული

მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს

ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,

მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის

შემკვეთს ეკისრება.

**უნიკალური მასალების
გათიავსება ფასინი!**

მოგა ყოვლადცისა დედოფლისა ჩვენისა ლვთისემოგალისა და მარადის ქალცულისა მარიამისა - ლვთისემოგალობა

ქრისტიანულ ლიტერატურაში არ-სებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა“, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

მდიდარი, მაგრამ უშვილო იოაკიმე ყოველწლიურად ორმაგ მსხვერპლს სწირავდა უფალს. ერთ-ერთ დღესასწაულზე, როცა ებრაელები იერუსალიმის ტაძარში მსხვერპლ-შენირვისთვის ემზადებოდნენ, მათ უარი უთხრეს იოაკიმეს პირველს შეენირა მსხვერპლი, მიზეზად კი იოაკიმესა და ანას უშვილობა წამოაძახეს (ებრაელ ხალხში უშვილობა ლვთის სასჯელად ითვლებოდა).


დალონებულ იოაკიმეს მწერალება გაუასკეცდა და ისე მიაშურა უდაბნოს, რომ შინაც ალარ შეუვლია მეუღლის სანახავად. იქ, სახელდახელოდ აგებულ კარავში, მან ორმოცი დღე და ღამე უჭმელ-უსმელმა გაატარა მხურვალე ლოცვაში.

წმიდა ანას წუხილს ქმარზე დარდიც დაემატა და ის თითქმის არავის ეჩვენებოდა. ანას უშვილობა წამოაყედრა მისმა მხევალმაც: „უფალმა ღმერთმა დაგიხშო საშო და არ მოგმადლა ნაყოფი ისრაელიანთა შორისო“. მაშინ ანამ სამგლოვიარო სამოსელი გაიხადა, საზეიმოდ ჩაიცვა, ბალში ჩავიდა, დაფნის ხის ქვეშ ჩამოჯდა და უფალს მხურვალედ შეევედრა: „ლმერთო მამათა ჩემთაო, მაკურთხე მე და შეისმინე ვედრება ჩემი ისე, როგორც აკურთხე შენ ჩვენი სარა და მიანიჭე მას ისააკი“.

ანგელოზი გამოეცხადა ანას და ახარა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და იგი დედა გახდებოდა, მისი ნაშიბი კი ქვეყანასა ზედა განდიდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად ალთქმა დადო, შვილი უფლისათვის შეენირა, რომ მისი მსახური ყოფილიყო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე შვილი შეეძინებოდათ.

იოაკიმემ მწყემსები მოიხმო და შესანირავი



მსხვერპლის გამზადება უბრძანა. ანა მას სახლში ელოდებოდა. დაინახა თუ არა მწყემსებთან ერთად მომავალი მეუღლე, წინ მიეგება და სასიხარულო ამბავი ამცნო.

მათ შეეძინათ ქალი, რომელსაც მარიამი უწოდეს. ექვსი თვის მარიამი დედამ მინაზე დასვა. ბავშვმა შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთამდე მიაღწია. გახარებულმა დედამ შვილი ხელში აიტაცა და ალთქმა დადო, რომ ვიდრე უფლის ტაძარში არ მიიყვანდა, მინაზე ფეხს ალარ დაადგმევინებდა.

როცა მარიამი ერთი წლისა გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა, შინ მოიწვია მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები, პატივსაცემი მოხუცებულნი. „ისმინე, ისმინე ისრაელის თორმეტო ტომო, ძუძუს აწოვებს ანა“, - სიხარულით გალობდა წმიდა ანა.

როცა მარიამი სამი წლისა გახდა, მშობლებმა, მიცემული აღთქმისამებრ, ტაძარში მიიყვანეს. უბინო ასულებმა ანთებული სანთლებით მიაკილეს ბავშვი ტაძარამდე, მღვდელმთავარმა მარიამი საკურთხეველში შეიყვანა და ასე აკურთხა: „შთამომავალთა შორის განადიდა უფალმა სახელი შენი. უკანასკნელ ჟამს შენ მიერ გამოიხსნას უფალმა შვილინი ისრაელისა“.

ცხოვრობდა ტაძარში ქალწული და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს, სანამ თორმეტი წლის არ გახდა და უფლის ბრძანებით საპატრონოდ მოხუც ქვრივს, იოსებს არ ჩააბარეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ეს ის დღეა, როცა უფალმა წყალობის თვალით გადმოხედა ცოდვით დაცემულ კაცობრიობას და ქვეყანას მოუვლინა წიაღი ლვთის განხორციელებისა, საყდარი მეუფისა, კიბე ზეცისა, გამომსყიდველი ევას შეცოდებისა - ყოვლადწმიდა ლვთისმობელი მარიამი, დედა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.



თბილ სინაგოგა 120



ონის სინაგოგა 120 წლის იუბილეს აღნიშნავს. იგი პოლონეთში არსებული სინაგოგის მსგავსი არქიტექტურით 1885 წელს აშენდა. ებრაელები ონში მე-18 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მშვიდ და მშვიდობიან ადგილას ცხოვრების სურვილით დასახლდნენ.

1972 წელს ონის ებრაული მოსახლეობა სამი ათას ადამიანს შეადგენდა და საქართველოში სიდიდით მხოლოდ თბილისა და ქუთაისს ჩამოუვარდებოდა. ონის ებრაელობამ უდიდესი როლი ითამაშა არა მხოლოდ საქართველოს ცხოვრებაში, არამედ სიონისტური მოძრაობის განვითარების საქმეშიც.

საქართველოს სიონისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი დავით ბააზოვი ონში რაბინად მსახურობდა და ივრითისა და სხვა საგნების შესასწავლად თალმუდ თორა ჩამოაყალიბა. სკოლა 1917 წელს რუსეთის რევოლუციის შემდეგ დაიხურა, მაგრამ სინაგოგა გადარჩა და ბააზოვი და მისი თანამოაზრენი მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდნენ სიონისტურ მუშაობას.

საბჭოთა კავშირის დაშლას 1992 წელს რაჭაში დიდი მიწისძვრა დაემატა, რომელმაც ბევრი ადამიანი უსახლკაროდ დატოვა, დააზიანა სინაგოგის კედლები. სწორედ ამიტომ, ებრაელებმა ისრაელში გამგზავრება გადაწყვიტეს და ამჟამად ონში 14 ებრაელიდა ცხოვრობს. 1995 წელს საქართველოს მთავრობისა და ებრაული ორგანიზაციების თანადგომით სინაგოგის აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, რომლის ძალისხმევითაც ეს დიდი საქმე რეალობად იქცა.

ადგილი, რომელმაც გასულ საუკუნეში უდიდესი როლი ითამაშა ადგილობრივი და ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით, დავიწყებას არასდროს უნდა მიეცეს.

იუვალ ფუქსი

ისრაელის ელჩი საქართველოში



მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონი მიღებულია

საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მიღებულია. კანონის გარეული მუხლები მომდევნობა ამოქანდა 2016 წლის 1 იანვრის მისამართი და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონს.

გორა ეჭვიძე, ამპონლაურის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს კარლაშვილი კანონის განხილვაში აკტიურად იყო ჩართული, როგორც ფრაკცია „დამოუკიდებლი მაჟორიტარები - ქლიკი რეგიონებისათვის“ თავმჯდომარე, ასევე მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით.

ამ კანონის მიზანა წიგნადადგმული ნაბიჯია რაზის და მისი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური აროგრესის მისაღწევად. შეგახსევებთ, რომ ზღვის დონიზე შესაპამისი სიმაღლის მიუხედავად მთლიანად რაზაზე გავრცელდება ამ ნორმატიული პრტის რეგულაციები.

ჩაქართველობის მაჟორიტარი დეპუტატის შესახებ და მათი მიზანის დამტკიცებულებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი უკვე რამდენიმე თვეა რეგიონებში პროექტ „ძლიერი რეგიონი - ძლიერი საქართველოსთვის“ ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში პრემიერი ადგილზე ჩადის და ბიზნესმენებს რეგიონის ბიზნეს პოტენციალის შესახებ ინფორმაციას აწვდის.

25 მარტიდან პროექტმა საქართველოს 10 რეგიონი მოიცვა.

იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ბიზნეს-სექტორის ბრუნვის მოცულობით თბილისზე ბრუნვის დაახლოებით 70% მოდის, ხოლო საქართველოს დანარჩენი რეგიონები ბრუნვის 30%-ს ინაწილებენ, რეგიონში ეკონომიკური განვითარება საკმაოდ დიდ მნიშვნელობას იძენს.

მოიტანა თუ არა შედეგები პრემიერის პროგრამაში და ინტერესდება თუ არა ბიზნეს სექტორი საქართველოს რეგიონებით? საინტერესოა, რა

ხდება ამ მხრივ რაჭა-ლეჩებუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში.

როგორც რაჭა-ლეჩებუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ განაცხადა, ამბოლაურში ხე-ტყისა და ლორის დასამზადებელი ქარხნები აშენდება. სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, ბიზნესი ამ მიმართულებით სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის პროექტის დაწყების შემდეგ დაინტერესდა.

გუბერნატორის ინფორმაციით, ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაზე დაინტერესება ებრაელი ბიზნესმენების მხრიდან იგრძნობა, რომელთაც პროექტში მინიმუმ 10 მილიონი ევროს ჩადება სურთ.

რაც შეეხება ლორის დასამზადებელი ქარხანას, ამ შემთხვევაში პროექტით დაინტერესებულები ადგილობრივები არიან. პაპუნა მარგველიძის ინფორმაციით, ამ შემთხვევაში ნახევარ მილიონიან ინვესტიციაზე საუბარი. მისი თქმით, დაინტერესებულმა პირებმა უკვე ისარგებლეს სახელმწიფოს შეღავათიანი სესხის პროგრამით და იურიდიული პროცედურების დასრულებისთანავე მშენებლობას შეუდგებიან.

თუმცა, კონკრეტულ ვადებზე საუბარი გუბერნატორს ამ ეტაპზე უჭირს. მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, თვის ბოლოსთვის იქნება მიღებული.

ასევე, იგეგმება სასტუმროსა და კვების ობიექტის მშენებლობა შაორის ტბასთან. როგორც გუბერნატორი ამბობს, რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს უკვე შეძენილი აქვს 2500 კვადრატული მეტრის ფართობი და ამ პროექტის განხორციელებას სწორედ ის გეგმავს. ამ მიმართულებით პრობლემას ქმნიდა ადგილზე კომუნიკაციების არარსებობა, რაც სახელმწიფომ უზრუნველყო.

„სახელმწიფოს უნდა მიეყვანა წყალი და ელექტროენერგია. მან ეს ვალდებულება შეასრულა და ახლა ჯერი ბიზნესზეა. სასტუმრო 5-ვარსკლავიანი არ იქნება, თუმცა, იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი“ - აცხადებს გუბერნატორი.

მისივე თქმით, ამ ტერიტორიით არის სხვა ბიზნესმენების მხრიდანაც დაინტერესება, თუმცა, მათ ბიზნესგეგმები ჯერ არ წარუდგენიათ. გადაწყვეტილების მიღება სწორედ ბიზნესგეგმების განხილვის შემდეგ მოხდება.

ამას გარდა, იგეგმება სამკურნალო - სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი კლინიკის



პაპუნა მარგველიძე

აშენება, რომელიც ადგილობრივებს შეღავათიან ფასებს შესთავაზებს. გუბერნატორის ინფორმაციით, ამ პროექტით დაინტერესებულია დანიური კომპანია, რომელიც სოჭის გირჩის ბიზნესშია ჩართული და რომელსაც ამ მიმართულებით მიღიონი ევროს ჩადება უნდა.

„იურიდიული საფუძვლების მომზადება მიმდინარეობს. აშენდება სამკურნალო-სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი ცენტრი, მათ შორის იქნება, ბავშვების სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც შეეძლებათ ხერხემლის პრობლემების მკურნალობა, სტომატოლოგიური პრობლემების მკურნალობა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის თითქმის სიმბოლურ ფასებში. ანუ საქველმოქმედო ხასიათის იქნება“, - აღნიშნავს პაპუნა მარგველიძე.

ამისგარდა, არსებობს სლეჩებუმში 2 ახალი პიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი.

გუბერნატორის განცხადებით, მდინარე ჯონოულზე შპს „ხვამლი“ გეგმავს 20,7 მეგავატიანი ჰესის მშენებლობას.

ასევე იგეგმება 9,25 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა მდინარე რაჩხაზე. ამ ეტაპზე ორივე ჰესთან დაკავშირებით კვლევები მიმდინარეობს.

პაპუნა მარგველიძე აცხადებს, რომ მუშაობა მიმდინარეობს შოვისა და შაორის განვითარების გეგმაზეც.

მისივე ინფორმაციით, დაჩარდა უნერა-შოვის გზის რეაბილიტაციის პროცესი. მარგველიძის თქმით, საპროექტო სამუშაოები თითქმის დასრულებულია, უახლოეს ხანებში გამოცხადდება ტენდერი და მშენებლობაც დაინტერესდება.

სალომე მეცხვარიშვილი

რკინის პრდკოვნიკი სამოცი ცლისან



ოქროს შემოდგომა იდგა
დღიდ საერისთაოში. თბილი
ჰაერით და მზისფერი ზოლებით
საგსე იყო რიონის ხეობა. გამჭოლი წავი
უბერავდა მდინარის გასწვრივ. ხობისფერი ზეცა
ნელ-ნელა შეცვალა ზამბახისფერმა და ცისქვეშეთში
ჩამოღვარა მრუმე ღამე. მთვარის ვერცხლისფერი
სხივები გადაეფინა ვენახებსა და ორლობებს.
ნაშუალამევი გადასული იყო, ყვითლად მოქარგულ
ზეცას რომ გამოეყო ბრიალა ვარსკვლავი და აკიაფდა
ერთი ღვთივაურთეული სოფლის თავზე... სწორედ
ამ დროს სოფელ ხვანჭვარაში დაიბადა ბადრი
სარდანაშვილი. ადამიანი, რომელიც ბავშვობიდანვე
ცდილობდა, გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო.

სწრაფად გაიარა ბავშვობამ, სკოლის წლებმა.
ბატონმა ბადრიმ სკოლის დამთავრებისთანავე
სწავლა განაგრძო საქართველოს ფიზკულტურის
ინსტიტუტში და აქტიურად ჩაება სპორტში. არის
ქ. თბილისის მრავალგზის ჩემპიონი, თბილისის
საერთაშორისო ტურნირის ორგზის პრიზიორი
თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე საქართველოს
ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის მესამე პრიზიორი
ჭიდაობა „სამბოში“. მიღებული ტრამვის გამო,
ოცდაოთხი წლის ასაკში აქტიურ სპორტს ჩამოშორდა.

მან პარალელურად დაამთავრა მოსკოვის პოლიციის
აკადემია და 1984-წლიდან ცხრა წელი ისნის რაიონის
შინაგან საქმეთა განყოფილებაში ნარკომანია
და ნარკობიზნესთან ბრძოლის თანამდებობაზე
ლეიტენანტის წოდებით მუშაობდა, შემდეგ იყო
მესამე განყოფილების უფროსის მოადგილე, სისხლის
სამართლის სამძებროს უფროსი და ნარკომანია და
ნარკობიზნესთან ბრძოლის განყოფილების უფროსი
ჩუღურეთის რაიონში.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს
ბატონი ბადრი იყო ქ. მარტვილის კომენდანტი,
მონაწილეობდა სამართლოსა და
აფხაზეთის ომში. 1994-1995
წლებში იყო საქართველოს
შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს ნარკომანია-
ნარკობიზნესთან ბრძო-
ლის განსაკუთრებით
მნიშვნელოვან საქმეთა
ინსპექტორი, 1995 წლის
აგვისტოში პირადად სახელ-
მწიფო მეთაურის, ედუარდ
შევარდნაძის ბრძანების საფუძველზე
დაინიშნა ქ. ამბროლაურის პოლიციის
უფროსად გამომდინარე იქიდან, რომ რაიონში
იყო გართულებული კრიმინალური მდგომარეობა.
მუშაობდა 1996-წლის აპრილამდე. შემდეგ 1996-
1997 წლებში, შინაგან საქმეთა ინსპექტორად
მუშაობდა, სწორედ ამ პერიოდში მიიღო ვიცე-
პოლკოვნიკის წოდება. ამბროლაურში 1995-
წლის ივლისში გაუგონარი ყაჩალური თავდასხმა
მოხდა საქართველოს პარლამენტის წევრ სოსო
მახალდიანზე, რომელიც საკუთარი ოჯახის თვალწინ
სიცოცხლეს გამოასალმეს. მახალდიანის მკვლელობის
ფაქტმა სულით ხორცამდე შეძრა ბატონი ბადრი,
კაცი გონიერი, ღონიერი, გულმართალი, მტკიცე და
შეუპოვარი. მისი სწორად დაგეგმილი გამოძიების
შედეგად 1997 წელს გაიხსნა მახალდიანის მკვლელობა
და პირადად მისი მონაწილეობით დაკავებულ იქნა
მკვლელობის მონაწილე ხუთი წევრი. ამ მართალი და
შეუპოვარი ადამიანისადმი მადლიერება რაჭველმა
ხალხმა ლექსით გამოხატა:

ნეტა რა ღებამ გაზარდა,
ეგრე გულადი, მაგარი,



გამირვების დროს საშეღად
სარდანაშვილი მზად არის!“

1999 წელს ბადრი, უშუალოდ რაიონის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მეორედ დაინიშნა ამბროლაურის რაიონის პოლიციის უფროსად. ამ პერიოდში მან მიიღო პოლკოვნიკის წოდება. მოიპოვა ადამიანების უდიდესი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა. ეს დაუღალავი, უშიშარი რკინის კაცი სულის სიმშვიდეს დროში გაყინულ მოგონებებში ჰქოვებდა. ცხენზე ამხედრებული „საცილიზე“ ან კიდევ რიცეულას ხეობაში „ცხენის ყბაზე“ მიდიოდა. დარდისა და დაღლილობის გასაქარვებლად შარეულას ნაპირებს აუყვებოდა მაღლა, ხანაც ხიდიკარის სანახებში განმარტოვდებოდა ველიეთის კალთის ქვეშ და მრავალჭირნახული რიონის რბოლას გადაავლებდა გონების თვალს და მისი კლდოვანი კალაპოტის ნაპირებზე ჩაკირულ ეპოსს იხსენებდა...

2001 წლის პირველ ოქტომბერს ორთაჭალის საპყრობილედან გაქცეული პატიმრების თერთმეტკაციან ჯგუფთან ერთად ლ. ქობალია და გ აბსნაძე, საჩერისა და ჭიათურის გავლით გადავიდნენ რაჭაში. მათი დაკავება მოხდა მაღალმთიანი სოფლის ფუტიეთის ტყეში უშუალოდ ბადრი სარდანაშვილის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით, რისთვისაც დაჯილდოებული იქნა

შ.ს.ს. მედლით „საბრძოლო მამაცობისათვის“, 2003 წელს ამბროლაურიდან ქ. თბილისში საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსად გადაიყვანეს.

ბევრი მნიშვნელოვანი და გახმაურებელი საქმის გახსნაა ბატონი ბადრის ანგარიშზე: პირადად მის მიერ დაკავებულ იქნა ეგრეთწოდებული „გორის ბანდა“ ექვსი კაცის შემადგენლობით. აგრეთვე გახსნა რამდენიმე რეზონანსული მძიმე დანაშაული. 2005 წლის რვა აგვისტოს ბატონი ბადრი დაინიშნა შ.ს.ს. მეუთე განყოფილებაში (ლოტკანი) უფროსად. აյ მის მიერ გახსნილი და ცხელ კვალზე დაკავებული იქნა რამდენიმე ყაჩაღური გაჯგუფება, რომლებიც წლების მანძილზე მოქმედებდნენ ნახალოვასა და თბილისის ზღვის ტერიტორიაზე. აღნიშნულ თანამდებობაზე მან 2007 წლამდე დაჰყო და დროზე ადრე გავიდა დამსახურებულ პენსიაზე წელთა ნამსახურევის მიხედვით.

ლირსეულ ქართველს, ამავდარ ადამიანს თექვსმეტ სექტემბერს სამოცი წელი უსრულდება. ჟყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი.

ვულოცავთ ბატონ ბადრის და მის ოჯახს ამ ლირსშესანიშნავ დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**რაჭველი საზოგადოების სახელით
თიცათინ თაგაგარი.**

ვისინი და რატოგ 0 ძაბულება მისი აიდენტიტების კოსტი?

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გამო-
დიან ინიციატივით მთის სამინისტროს შექმნის
შესახებ.

კანონდარმების ერთ-ერთი ავტორი გარემოს
დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია ზორავ-
ლიანი.

ზორავოლიანი იხადოვნებას, რომ მთავრობა ამ
ნინაზადებას გაიზიარებს.

მისი თქმით, სახელმწიფო მინისტრის
ინსტიტუტის საკითხს პირველივე სხდომაზე
დააყენება.

რატომ არის საჭირო მთის მინისტრი და რა
დაუკავება პირველი ახალი სამინისტროს შექმნა?
ამ და სხვა საიდენტიტესო კითხვებზე აასუს გია
ზორავოლიანი გაგვცემა:

- რატომ დადგა მთის სამინისტროს შექმნის
აუცილებლობა?

გია უორულიანი: მთის კანონი ითვალისწინებს
სხვადასხვა მასტიმულირებელ ღონისძიებებს,
რომ მთის განვითარებას ხელი შეუწყოს. ძალიან
მნიშვნელოვანია შეიქმნას აღსრულების მექა-
ნიზმები.

ვფიქრობ, რომ მთავრობა ამ ინიციატივას
გაითვალისწინებს. ჩვენ გვაქვს ინიციატივა შეიქ-
მნას სპეციალური სახელმწიფო მინისტრის პოსტი,
რომელიც უზრუნველყოფს კანონის აღსრულებას
მთის რეგიონების განვითარებისთვის.

ის კოორდინირებას გაუწევს სხვადასხვა
უწყებებს და ვფიქრობ, რომ მთავრობა წინა-
დადებას გაითვალისწინებს. მთიანი რეგიონები



განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს, მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაა იქ, დაცლილია მთიანი რეგიონები, სასაზღვრო ზონა, ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არ არის ისეთივე, როგორც სხვაგან და ასე შემდეგ. ამიტომ სპეციალურ ყურადღებას საჭიროებს, პრობლემებს კი მოგვარება სჭირდება.

ამ კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტას სჭირდება კოორდინირება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა, ასევე იმ მუნიციპალიტეტების პროექტებს, ასე ვთქვათ, ცენტრალურთან ჰარმონიზება და ა.შ.

ამ ამოცანების განსახორციელებლად მთავარი ფუნქცია ექნება ამ სახელმწიფო მინისტრს. ეს არ იქნება დიდი სამინისტრო. იგულისხმება მცირე აპარატიანი სახელმწიფო მინისტრის ოფისი, რომელიც ძირითადად კოორდინაციით იქნება დაკავებული.

- რა დაუჯდება ბიუჯეტს ახალი სამინისტროს შექმნა?

- სამინისტროს შექმნა წლევანდელი ბიუჯეტში ვერ მოხერხდება. ზუსტი თანხა ამიტომ ამ ეტაპზე უცნობია, ეს არის ინიციატივა, მეორე მოსმენით ამას ვნახავთ. ეს უწყება იმისთვის არ არის, რომ ვიღაცამ თანამდებობა მიიღოს. იმისთვისაა რომ განხორციელდეს პროექტები, ეკონომიკა განვითარდეს მთაში და ამისთვის სახელმწიფომ უნდა ხარჯები განიოს.

საინტერესოა რას ფიქრობენ „მთის სამინისტროს შექმნაზე“ ჩართველი ესპერისტები.

ექსპერტი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ „მთის სამინისტრო ვიღაცისთვის მინიტრის პორტფელის



გია ხუხაშვილი

**ეს უცხოა
იმისთვის
არ იქმნება,
რომ ვიღაცამ
თანამდებობა
მიიღოს.**



გია ზორავოლიანი

შექმნისთვის იქმნება!“

„მთის მენეჯმენტი“ სამინისტროს ფორმით არ უნდა ხორციელდებოდეს და მას ადგილობრივი მუნიციპალიტეტები უნდა არეგულირებდნენ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ახალი სამინისტროს შექმნა რაღაც თამაშის ნაცილი გვონია. თუმცა, საით მიღის ეს თამაში, ვერ გატყვით, რადგან მასში ლოგიკასაც ვერ ვხედავ.

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის აზრით, ახალი სამინისტროს წარმატება, რომელსაც სტარტის აღების დღიდან უნდა დაუწესდეს სამოქალაქო



სოსო ცინცაძი



კონტროლი, რათა არ იქცეს ბიუროკრატიული ცდუნების მსხვერპლად.

„იდეა არ არის ცუდი, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მთის პრობლემები არ გადაწყდება. პერი პერსონალური ცდუნებისგან თავის დასაღევად ამ სამინისტროს საინტერესო ღირებულების მძონე აღმიანი უნდა ჩაუდგეს სათავეში“, - ამგობს სოსო ცინცაძი.

დავით ჯაჭაშვილი

ნიკორწმინდის ეპარქია


საქართველოს
გვლობის
წმინდა სინოდის
ნიკორწმინდის
ეპისკოპოსად
არქიმანდრიცი
ვახტანგ
ლიპარიტელიანი
გამოარჩია.
აქსილ!!!



ეძღვნება მუზე ელისეს ხსოვნას

დორ სიფაქიზით ეტმასნება შერეულ ნერგებს
 და უკელა ფესვი როდი ხარობს ნაუოფიერად,
 უკარდათ ერთ დროს ის ემაწვილიც შორეულ გვედრებს
 და ელორტიც თავად მადლიანი დმერთმა ინება...
 განვლილი დღენი მის სიჭაბუკეს ანიჭებს მალას
 და ზიარსა ხდის უფლის შეწევნით, მისი ხელდასმით,
 აწრთობს სიკეთით ერს გაბნეულთ უმტკიცებს მალას
 რწმენას უმეარებს და ანუგეშებს თვით თავად განცდით...
 ისტორიებსაც შემორჩებათ მისი ღიმილი,
 თუნდ არც კი ჸელნდა გასაღიმი, მაინც მღეროდა,
 სიკეთეს თესდა, სიუკარულით უმლებდა ტკივილს
 და მხოლოდ ისევ სიხარულის მალა ემოსა...
 ღიმილს ხანდახან, უსასრულო ნაღველი ესხმის,
 გზებსაც გაუდით ოკაცა-ტკუცი ხალხის მხარდამხარ,
 სოფელს დღეს ჩუმი ცრემლიანი ქვითინი ესმის,
 და გლოვობს მთებიც უთბილესი სულის გადასვლას...
 მესმის დღეს მწუხრის და მოგონების ატევია შარას,
 გავსცელით ვეღს და გვედრიტება უთქვენოდ მუხლი,
 იტირებს ზეცაც, წვიმის წვეთებს მოგფენს ანაზღად,
 შეიმოსება არეის ხეებიც უზომო მწუხრით...
 ბექობს გადაცდა მველი ეშის ის სილაზათე,
 გვლოცავს რომ უხმოდ, ამ დროს ჩუმად ისევ ელისე,
 დღეს კი ქვეყანას უსიამო რაშე გადახდა,
 არ უნდა გულს და უთქვენობას მაინც ვერ ისმენს...

გურამ თოდაძე



* * *

საფქვავი ჩამოიცალა,
 ერთი მარცვალიდა რჩება
 სარეკელა უპაკუნებს,
 სადაც არის შეჩერდება...
 წუთის ისარი ბოლო წრეს ხაზავს,
 ისიც მალე მინელდება...
 წუთი დიდი დრო ეოფილა
 გული ასე მეუბნება...
 ბოლო წუთი რა ეოფილა
 მთელს სიცოცხლეს უტოლდება...
 გულის ბაგუნი ნელდება და
 არ უნდა შეჩერება...

მუზე ელისე



2015 წლის 1 გვერდის თავზე გამოიყენეთ სამცხოვრო ძალუბობის ცენტრალური ხელფასი. გამოიყენეთ გარეულაზე გაკათლის გადასაცემის სამცხოვრო ძალუბობის ცენტრალური ხელფასი. გამოიყენეთ გარეულაზე გაკათლის გადასაცემის სამცხოვრო ძალუბობის ცენტრალური ხელფასი.



რეგიონის ხმა

ამპარლაურის მუნიციპალიტეტის სოფებზე გაგებულის მოსახლეობას 2015 წლის ოქტომბრიდან ახალი თანამედროვე სტილის სახავშვი გაღი ეცნობა. ახალი გაღის მშენებლობას მოქმედი გაღის ციხი, საპირკველი უკვე ჩაიყარა.



ამპარლაურის მუნიციპალიტეტის სოფებზე გასში მდინარე რიონისა და მდინარე ლუხუნის შესართავთან გარაკონის დათვისებობის ფარგლენის ეპლასიდის მიმღებარე ტერიტორიაზე ცაპირსაგაგრები გაკათდა



კაცი, რომელიც გულის გულით უმკრიცხალა!

შეგვა თვალზე დის ხელის უსებ ჩემს სუკურჯერ
კუთხეში-თაჭრში გარამის სორის... კვავ თერჯებში
ჩავიძინებ... ეს შეგვა თვალზე დის ხელი სოფრულის...
მამის ბიჭი... სარ არ შეგხვება კუსი კუსი...



რეზო პარაპა

აქტიური ცხოვრების წესით მოვედი აქამდე, მაგრამ
ერთ მშვენიერ დღეს გულმა მიღალატა. დიახ, თბილი-
სში №162 საჯარო სკოლაში, ცეკვის გაკვეთილზე
შეუძლოდ გავხდი და... თურმე გრძნობაც დავკარგე.
დაცვას სასწრაფო დახმარება გამოუქახებია...
რამდენიმე საათის შემდეგ ქავთარაძის ქ. №16-ში,

**ვის წა ჩატომ
ყნორებს ჩემ
ბეჲაძე ვიჲთხებსა
წა მაცრის მონებს**

კარდიოლოგიურ კლინიკაში მოვედი გონზე. თავზე
თეთრხალათანი ლამაზი ქალბატონი მადგა: „არ
შეშინდეთ, ბატონო რეზო, თქვენ უკვე საიმედო
ადგილზე ხართ, ყველაფერი კარგად იქნება“. ეს
სიტყვები მარიკა ექიმმა ისე თბილად მითხრა, რომ
თვალზე ცრემლი მომადგა ... ჩემი უსუსურობის
გამო შემრცხვა და როგორც მახსოვს, თვალები
უშმოდ დავხუჭე, კვლავ ჩავიდირდი... შევეცადე
გამეხსენებინა, თუ როგორ, რანაირად აღმოვჩნდი
საავადმყოფოში... მარიკა ექიმის მობილურის
ზარმა გამომაფხიზლა, გონება დავძაბე და ექიმს
მივაყურადე: „დიახ, კი შალვა ექიმო!... ახლა
გონებაზეა!.. დიახ!.. ყველაფერი გავაკეთეთ!.. დიახ!
კი ბატონო!..“ მარიკა ექიმმა ტელეფონი გათიშა და
ვიღაცას უბრძანა, საოპერაციო მოამზადეთო... მერე
კვლავ მომიბრუნდა, მაჯა გამისინჯა და გაირინდა...
ამჯერად თვალის გახელა შევძელი და ჩემს მკურნალ
ექიმს პირველი შეკითხვა დავუსვი: რა ხდება, თუ

შეიძლება, ამიხსენით-მეთქი.

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო რეზო... არა-
სტაბილური სტენოკარდიით კლინიკაში ხართ,
მაგრამ გაგიმართლათ... თქვენი ექიმი საჩერიდან
თბილისისაკენ მოემართება, ახლახან გზიდან
მელაპარაკება, ერთ საათში აქ იქნება, ჩვენც მზად
დავხვდებითო...

— თუ ექიმის გვარსა და სახელს მეტყვით, ძალიან
დაამავალებთ ვთხოვე მოკრძალებით.

— კი, ბატონო, რატომაც არა, გეტყვით დაწვ-
რილებით... თქვენი ექიმი გულის კათეტერიზაციის
განყოფილების გამგე, შალვა თვალჭრელიძე იქნება,
რომელმაც სასანაფოდ უნდა გაგიკეთოთ შემომზევე
არტერიის სტენტირება... დამშვიდდით, ყველაფერი
კარგად იქნება...

შალვა თვალჭრელიძის ხელის უცებ ჩემს საყვა-
რელ კუთხეში-რაჭაში გადამისროლა... კვლავ ფიქრებში
ჩავიძირე... ეს შალვა თვალჭრელიძე ხომჩემისოფლელია...
მამისა ბიჭი... კაცი კაცს სად არ შეგხვდება ...

როგორც შევძელი, გონება მოვიკრიბე და
ყველაფრის თავის ადგილზე დალაგებას შევეცადე...

ჩემი სოფელი

ამბროლაურის რაიონში სოფელი პატარა ონი
ზღვის დონიდან 850 მეტრზე მდებარეობს. ქ. ამბრო-
ლაურიდან 26 კილომეტრის დაშორებით. სოფელში
ოცამდე გვარი ცხოვრობს: თვალჭრელიძები,
გიორგობიანები, ბერაძეები, ხმელიძეები, ჩხიკვაძეები,
გამყრელიძეები, საღარაძეები, ისელიძეები, ქარა-
ზანიშვილები, თედორაშვილები, აბუთიძეები, დვა-
ლები, მასხარაშვილები, კვახაძეები, ჯებაშვილები.
მოსახლეობის მიხედვით ჩვენი სოფელი დიდი
იყო, იმდენად დიდი, რომ მიუხედავად საშინელი
მიგრაციისა, სოფელს ერთი სამუალო სკოლა, ერთი
ამბულატორია და ერთი ბიბლიოთეკა ამჟამადაც
ემსახურება.

გულის გამოქანლი

პატარა ონი დიდი ისტორიის მქონე სოფელია, ამაზე დიდხანს არ შევჩერდები, მაგრამ ვიტყვი, რომ იგი მთელს რაჭაში გამორჩეულია. პატარა ონში 7 წმინდა სალოცავია, მათ შორის აღვნიშნავ მე XI საუკუნის ძეგლებს — წმინდა ნიკოლოზის და წმინდა გიორგის ეკლესიებს (ორივე მოქმედია).

ახლა კვლავ ჩემი ექიმის გვარს უნდა მივუბრუნდე: მინდა მკითხველს მოვახსენო, რომ პატარა ონს აქვს ორი ძირითადი მისასვლელი გზა, ერთი სოფელ ჭრებალოდან, მეორე სოფელ ნიკორწმინდიდან. მე მაინც ძირითად მისასვლელ გზად სოფელ ჭრებალოდან, ქვედაშავრისა და ლადიშის გავლით მივიჩნევ. სწორედ ამ მთავარი მისასვლელიდან სოფელი პატარა ონი თვალჭრელიძების გვარით იწყება. შესასვლელიდან მარჯვივ პირველი მოსახლე სერგო (სერიოუ) თვალჭრელიძე გახლდათ. ეს ადამიანი იყო საშუალო ტანის, ძვალმსხვილი, კუნთმაგარი, რომ იტყვიან ჩაჯეჯვილი კაცი, რომელსაც ხელით ჩეუბის დიდოსტატად იცნობდნენ მთელს რაჭაში და ლეჩეუმ-სვანეთ-იმერეთშიც. მე როგორც ვიცი, გასული საუკუნის 50-იან წლებში ზემო რაჭის ფალავანი გახლდათ გოგია მკერვალიშვილი, გარეგნობით არსენას ჰეგვადა, ხოლო სერიოუ თვალ-ჭრელიძე, ქვემო რაჭის სიამაყე, რომელიც ჩეუბის დროს, თურმე ჰორიზონტალურად სწორებოდა ჰაერში და ასე ურტყამდა თავს მოწინააღმდეგეს. მე პირადად, მის ხანდაზმულობას ვიხსენებ და უაღრესად დიდ პატივს მივაგებ, როგორც სამართლიანსა და თავმდაბალ პიროვნებას. ახლა დანარჩენი თვაჭრელიძებიც მოვიწყიოთ... გამახსენდა მამაჩემის ნაამბობი: „ამ სახლში, შვილო, დიდი თვალჭრელიძები ცხოვრობდნენ. ორი ძმები იყვნენ, გიორგი და შალვა. გიორგი თვალჭრელიძე აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო 1940 დან 1944 წლამდე. ხოლო აქიდან იგი საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დაანინაურეს. მისი ძმა შალვა კი ისტორიკოსი იყო, დიდ სამამულო ომში, 1943 წელს მარუსის უღელტეხილზე გმირულად დაიღუპა... აპა!.. თანდათან ყველაფერს ვაზუსტებდი ჩემთვის: ესეიგი, ჩემი ექიმის ბაბუა ყოფილა მარუსის უღელტეხილზე დაღუპული შალვა თვალჭრელიძე, ხოლო ბაბუის ძმა-გიორგი თვალჭრელიძე. ახლა, ამ სასახლო, დიდი თვალჭრელიძების შვილებიც აღვიდგინე მეხსიერებაში: გიორგის შვილი გახლავთ იური თვალჭრელიძე, რომელიც ამჟამად საქართველოს მთავარი ექსპერტ-კრიმინალისტია, შალვას შვილი კი — მამია თვალჭრელიძე, დაბადებულია 1940 წელს. დამთავრებული ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა პროფესიის მიხედვით სხვადასხვა ადგილებზე და 2002 წლიდან სიცოცლის ბოლომდე საქართველოს გაერთიანებულ ენერგო კომპანიაში რეალიზაციისა და კონტროლის სამსახურის უფროსი იყო. ბატონ მამიას კარგად



ვიცნობდი, ბევრჯერ გვქონდა საქმიანი საუბარი სოფლის და საერთოდ, რაჭის საჭირბოროტო საკითხების გარშემო. ძალიან უყვარდა მშობლიური პატარა ონი. როგორც კი დროს გამონახავდა, მაშინვე რაჭას მიაშურებდა და სიყვარულით ფუსფუსებდა მამა-პაპურ სამოსახლოზე, რომელიც მან თითქმის ხელახლა ააშენა და დაამშვენა კაცის გულის გასა-სარად. 2007 წელს ბატონი მამია გარდაიცვალა. აქ კი დაგვიტოვა უპირველესი მომგონებელი მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი, პროფესიით ინჟინერ-ტექნიკოგი, ამჟამად პენსიონერი, **ნუნუ გრძელიშვილი**. მამიამ დაუტოვა სამშობლოს შვილები: **ნინო თვალჭრელიძე**, ინგლისური ენის სპეციალისტი, შავი ზღვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და **შალვა თვალჭრელიძე**, პროფესიით ექიმი-კარდიოლოგი, როგორც იქნა, დაგადგინე, რომ მე ველოდები ექიმ-კარდიოლოგს, ჩემი სოფლის შვილს, შალვა მამიას-ძე თვალჭრელიძეს, რომელიც საცაა შემოაღებს კლინიკის კარებს და იკითხავს: „ყველაფერი მზადაა?.. მაშინ დავიწყოთ!..“

შიში

მშიშარა ვარო, იშვიათად აღიარებენ ადამიანები, მაგრამ მე ვამბობ, რომ შიშმა შემიპყრო, რატომ? გეტყვით.

ოცი, ოცდახუთი წლის წინათ, იმ განუკითხაობის პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და და, ძმას დაუპირისპირდა, რაჭაშიც გამოჩდნენ ავტომატგადაკიდებული „ვაჟუაცები“, რომლებიც „გვარდიისა“ თუ „მხედრიონის“ ჯარისკაცებად ასაღებდნენ თავს, მათ აიყოლიეს სოფლებში დარჩენილი მოსახლეობის უმუშევარ-უსაქმური, შუბლზე ძარღვაგანყვეტილი ზოგიერთი ადამიანები და გაჩაღდა მიტოვებული სახლების ძარცვა, რომელიც საუბედუროდ დღესაც გრძელდება. რა თქმა უნდა, სოფელ პატარა ონშიც გამოჩნდნენ ასეთი ვირთხები (ზაპატიონ გამოთქმისთვის), რომელთა არაკაცურმა ქმედებამ და უსულგულობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაძარცვეს მიტოვებული სახლების თითქმის 90 პროცენტი. ზოგიერთ სახლში მესამედ, მეოთხედ შევიდნენ, არ

გულის გამოქანილი



**შალვა თვალშემოსი
გულის მარცხენა**

დაინდეს არც ნაკლებად ცნობილი და არც საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები, წაიღეს თითქმის ყველაფერი, რასაც ხელი მოეკიდებოდა.

მინდა პატივცემულ მკითხველს ვაუწყო, რომ ჩემს სოფელში დაიბადნენ და გაიზარდნენ ისეთი სახლებანთქმული ადამიანები, რომელთა დიდი კაცობით დღესაც ამაყობს არა მარტო რაჭა და სრულიად საქართველო, არამედ მთელი მსოფლიოს პროგრესული ქვეყნები. მე მათი გვარების და სახელების ჩამოთვლას შეგნებულად თავს ავარიდებ, მაგრამ ერთს კი ვეტყვი იმ დაავადებულ ვირთხებს: თქვე კაი დედმამიშვილებო, თავისუფალი სტილით ჭიდაობაში მსოფლიოს მრავალგზის და ეროვნის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, „ლირსების ორდენის კავალერის“ საქართველოს დედაქალაქის საპატიო მოქალაქის ბატონი გურამ სალარაძის მამა-პაპურ სახლში რომ შეძვერით და თავის კუთხეზე უაღრესად შეყვარებულ კაცს გული ატყინეთ, ღმერთი არა გრამთ?! ქრისტიანები არა ხართ?!. განა რა უნდა წაგელოთ მისი ოჯახიდან ისეთი, რომ თქვენ გამდიდრებულიყვავით!.. იქნებ გგონიათ, რომ ბატონმა გურამმა თქვენი ვინაობა ვერ გაიგო და თქვენ ამიტომ დარჩით დაუსჯელები? არა! ეს ასე არ არის... თუმცა რაში მჭირდება ამის შეხსენება, თქვენ ეს ჩემზე კარგად იცით!.. თქვენს მიერ გაძარცვულ ყველა სახლს ახლა არ გაგახსენებთ, მაგრამ მე რომ ახლა შიშის კანკალი მაქვს ატეხილი თქვენი ნამოქმედარის გამო, ამაში გინდათ, თუ არ გინდათ, უნდა დამეთანხმოთ!.. თქვენ გაძარცვეთ ჩემი ექიმის, შალვა მამიას-ძე თვალშემოსის მამა-პაპურისახლიც. თქვე კაიხალხო, ძელებური ჯამ-ჭურჭელი, სპილენძის გობები და თუნები ხომ გაიტანეთ სახლიდან და ალბათ კაპიკებში ჩააბარეთ თქვენისთანა ნაძირალა მეჯართებს, მაგრამ ლეიბი-საბანი და მუთაქა-ბალიში როგორ არ დაუტოვეთ სახლში, სოფელში დასასვენებლად მოსულ მამია თვალშემოსის მონაგარს?!.. ვინა ხართ თქვენ!.. ვისი ძარღვებით მოაღწიეთ ჩვენამდე თქვე „მუცლის მონებო“!.. სირცხვილი თქვენ! სირცხვილი!..

ამ ფაქტის შესახებაც ყველაფერი იცის სოფელმა, თითქმის დეტალებშია შესწავლილი თქვენი ნამოქმედარი... აკი, თვითონ შალვასაც ხომ უთქვამს მისი ბავშვობის მეგობრისათვის:

„ყველაფერი ვიცი, ყველა ვიცი, მაგრამ არაფერს ვამბობ მართლმსაჯულებაში, იმიტომ რომ არ მინდა კიდევ რამდენიმე კაცმა დატოვოს ისედაც დაცარიელებული სოფელი“ — ამნაირად ხომ მხოლოდ დიდი ადამიანები ფიქრობენ!.. ჰოდა, კიდევ უნდა გითხრათ ერთი რამ მოკრძალებით: მიტოვებული სახლი და წაქცეული კაცი ერთი და იგივეა... საქართველოში კი წაქცეული ადამიანს კაცი კი არა, ქალიც არ გაიმეტებს ჩასაცემად... მინდა როგორმე დაიჯეროთ ეს ჭეშმარიტება და ხელი აიღოთ წარსულის შემდგომში განმეორებაზე. ახლა გთხოვთ მუქარად არ ჩამითვალოთ და ... კიდევ გეტყვით ერთს: ჩვენს სოფელში, პატარა ონში, თითქმის ყველამ იცის თქვენი ნამოქმედარი წარსულში, მაგრამ დიდი გულისტყივილის ფასად დუმილს ამჯობინებენ... ბუნებით მომთმენ რაჭველებს, ერთხელაც აბობოქებული მდინარეც კი ვეღარ შეაჩერებს...

შეაჩერებს ისევ ჩემს გაჭივრებას უნდა მივაბრუნე, საცაა კლინიკის კარებს შემოაღებს ექიმი შალვა თვალშემოსიდე, იკითხავს ჩემს ვინაობას, გაიგებს რომ მისი თანასოფლელი ვარ და... შემოეყრება გულზე, გაახსენდება მამა-პაპური სახლის განადგურება პატარა ონში... აბა, რა ხასიათზე დადგება!.. შეიძლება უარიც განაცხადოს ჩემს დახმარებაზე და სხვას გადააბაროს ჩემი თავი... ვინ იცის, რა ხასიათის კაცია მამიას ბიჭი—შალვა ექიმი?.. ვაი დედასა მტრისასა!.. რა უნდა ვქნა, ეს რა საფიქრალი გამიჩნდა!.. ვიღაცის ხელი ვიგრძენი მაჯაზე. თვალებდახუჭულმა დავადგინე, რომ ეს მარიკა ექიმის ხელი არ არის. „მაჯა ნორმალური აქვს“ ჩამესმა მამაკაცის ხმა, თვალები სასწრაფოდ გავახილე და... საწოლთან ჩემი მეგობარი ბორის შეიანი და ჩემი შეილიშვილი ბექა ბერაძე დავინახე.

სფერის მასა დღე

მარტო ვარ პალატაში. სიჩქმეა, შიშით, ნამდვილად აღარ მეშინია, უსაფუძვლო რომ იყო ეს შიში, ამაშიც დავრჩმუნდი, თუმცა ეს შალვა ექიმის დამსახურებაა. ვარ ახლა ჩემთვის დამშვიდებული და შეძლებისდაგვარად ძარღვებში სისხლის მიმოქცევას ვაკონტროლებ, რასაც ადრე არ ვაკვირდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ გამიყვანეს საოპერაციოდან. მედიკოსებს თვალებზე ეტყობოდათ, რომ ცუდი შედეგი არ მქონდა, მეც ამით დავკმაყოფილდი. აღარაფერი მიყითხავს... ახლა სახლში მინდა წასვლა...

პალატის კარები გაიღო და ოთახში თეთრხალათიანი ქალბატონი შემოვიდა, მომესალმა, სკამი სასწრაფო მოსხია და დაჯდა: „გადაღების პასუხი პირადად მოგიტანეთ, ბატონო რეზო, ყველაფერი კარგად მიღის, გილოცავთ გადარჩენას... მე ნატა ექიმი ვარ, თქვენი სოფლის რძალი, შალვას მეუღლე“... ეს რა ჯანდაბა მემართება!.. ხმას ვეღარ ვიღებ. ისევ ცრემლი მადგება თვალზე... თავს ვიკავებ... ცოტა დღრო გადის სიჩქმეში... თვალები შევუშმრალე და ნატა ექიმს მადლობა შემდეგნაირად მოვახსენე: „გადმოცემით

გულის გამოძახილი

ვიცნობდი ექიმ-კარდიოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ნატა ჯინჯოლიას... ლამაზი, მოხდენილი, კოტა ქალბატონი ყოფილხართ... ლმერთმა შეგაბეროთ ერთმანეთს შენ და შალვა ექიმი... თქვენი შვილის-გიორგის დავაუკებას და შვილთაშვილებს მოგასწროთ!.. ნატა ექიმო, შალვას ვერაფერს ვეუბნები და... შენ უნდა მომისმინო... ჩვენი სოფლის ვირთხებმა თუ რამე განყენინეს, ჩვენ, დანარჩენ პატარა ონელებს გვაპატიეთ, მთლ სოფელს უყვარხართ, გჯეროდეთ!..

ნატა ექიმმა გამიღიმა და დაჯერებულმა მითხრა: „გვჯერა!..“ მალე შალვა მოვა, გადაღების შედეგს გაიგებს, შენც მოგინახულებს და შეიძლება სახლშიც გაგიშვას...“

შალვა ეპიზოდი

შე დალოცვილო ადამიანო, მარჯვენა კურთხეულო და გონებაგანათებულო, ფრესკიდან გადმოსული წმინდანის თვალებით რომ დამყურებ თავზე, გიხარია, რომ კარგად ვარ, ხომ?!.. ხომ დამიძრუნე სიცოცხლის ხალისი... მაინც რა ყოფილა ეს გული... ცოტა რომ მოვმჯობინდები, ალბათ ლექსი უნდა დავწერო!.. ახლა თუ სახლში გამიშვებ, ძალიან დამავალებ... და მაინც, ვინ არის შალვა მამიას ძე თვალჭრელიძე, რომელმაც არც კი დამაძინა, ისე, მის დამხმარე ექიმებს, ბატონ სულხან იზორიას და ზურა ოკუჯავას აუხსნა ჩემი მოკლე ბიოგრაფია... მაქო და მადიდა: „თქვენ არ იცნობთ რეზო ბერაძეს... ეს მაგარი კაცია, ჩემი სოფლელია, მამაჩემის მეგობარია, რაჭის კოლორიტია... მესტვირე, ქორეოგრაფი, პოეტი... დრამატურგი, შესანიშნავი თამადა... და აბა თქვენ იცით, კარგად მომეხმარეთ... ჩაურთეთ ბატონ რეზოს ეკრანი, რომ კარგად დაინახოს, რა დღეშია თავისი გული და სისხლძარღვები... როგორ დაუვიწროვებია სიგარეტის ჭვარტლს, განკვეტაზეა უკვე... სამ ადგილზე გვაქვს ბიჭებო პრობლემა, შეხედეთ! მაგრამ ჩვენ ახლა ორ ადგილზე ჩავდგამთ სტენტს... მესამე დაზიანებულ ადგილს კი დროებით დავტოვებთ, დაახლოებით ერთ თვეში, თავისი ფეხით მოვიყვანთ რეზო ბერაძეს კლინიკაში და მესამე სტენტსაც მიღუჩენთ თავის ადგილს... აი, ესეც ერთი!.. ხომ გავარტყი ათიანში სულხან, ასე ვიცი მე! (ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ ერთი სტენტი უკვე ჩასვა ექიმმა ადგილზე). ახლა მეორეს უნდა დავუმიზნო... სიგარეტს თავი უნდა დაანებო ჩემო რეზო... ღვინო 6 თვის შემდეგ შეიძლება, ორი-სამი ჭიქა... მხოლოდ ნატურალური... დროთა განმავლობაში ცეკვაც შეიძლება და“... (თვალი ჩამიკრა) მეც რა თქმა უნდა, მიგხვდი-მეთქი და თავი დავუქნიე წამყვან ექიმს, თან თვალი გადავავლე საოპერაციოში მყოფ ჩემს მშველელ მანდილოსნებს... 45 წუთის განმავლობაში არ გაჩერებულა შალვა ექიმი. თავისი დამხმარეებთან ერთად, მაღალი ოსტატობით დაგულაობდა ჩემს სისხლძარღებში და რასაც აკეთებდა, ყველაფერს ხმამაღლა გვიხსნიდა...

შალვა მამიას ძე თვალჭრელიძე დაიბადა 1972 წელს ქ. თბილისში. დაამთავრა № 132 საშუალო სკოლა. 1990-1996 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. 1998 წლიდან მუშაობას იწყებს „სამკურნალო კომბინატში“ კარდიოლოგად და რაც მთავარია, ამ დროს მისი ხელმძღვანელია საქვეყნოდ ცნობილი ქართველი პროფესორი მერაბ მამაცაშვალი.

2001-2002 წლებში შალვა თვალჭრელიძე ავსტრიის, ქ. ლინცის „შვესტერ ჰოსპიტალის“ გულის კათეტერიზაციის ლაბორატორიაში მუშაობდა ინვაზიურ კარდიოლოგად, სადაც ჩამოყალიბდა, როგორც „ათიანში“ გამრტყმელი დიდოსტატი ექიმი. დღეს შალვა ექიმი კლინიკების „ლია გული“ და „ადაპტი“ გულის კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. იგი პარალელურად საჩხერის სამედიცინო ცენტრის და „ნიუჰოსპიტალის“ კონსულტაცია ინტერვენციულ კარდიოლოგიაში მუშაობს.

და მაინც, რა არის ამ დიდებულ კაცში განსაკუთრებული? — ის რომ, ის არის „გულიანი“ გულის ექიმი!.. ახლა იმასაც ვიტყვი, რომ „კვიცი გვარზე ხტისო“... „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე ნარმოდინდებისო“... „დედა ნახე, მამა ნახე...“ ხომ ვიცით პატივცემულო მეითხველო? ვიცით! მე კი, უპრალოდ ასე ვიტყვი: სიმაღლის რომ არ გემინოდეს, გული უნდა გივარგოდეს! ახლა კი დანაპირები ლექსიც მინდა მიღუძვნა ჩემს საყვარელ მკითხველს და კარდიოლოგ შალვა თვალჭრელიძეს:

გული


რად გინდა გული, თუ არ გეტბინა,
სიცოცხლე რაა, თუ არ მოგვდები;
რად გინდა, გერქვას რჩეული კაცი?
თუკი, ხალანისთვის არ გამოდგები.
კის დაარწმუნებ, რომ შენ, შენა ხარ,
თუ ერთი ხარ და ხშირად ორდები;
რად გინდა, გთვლიდეს მეგობრად ვინმე,
თუკი, მეგობრად არ გამოდგები.
სიტუა რად გინდა არაფრის მთქმელი,
თუ არ იფრინე, რად გინდა ფრთები.
თუ ვერა ხედავ, რად გინდა ქალი.
თუ არ დასარჯე, რად გინდა ფული,
თუ არ დალიე, რად გინდა სული.
თუ უკის არ უგდებ, რად გინდა უკრი,
თუ არ გეტბინა, რად გინდა გული!?
...უკი გადიქცევა უგავი არწივად,
თუნდ თავი დასდო ამაზე ზრუნვით...
მართვე თუ ცაში მაღლა აფრინდა,
იგი აფრინდა არწივის გულით
რეზო ბერაძე (რაჭელი)



კარიერა თბილისის „დინამოში“ დაიწყო, ყოველთვის გოლის გატანის ალლოთი გამოირჩეოდა. მან 1994–1995 წლების სეზონში 24 მატჩში 24 გოლი, ხოლო 1995–1996 წლების სეზონში 26 მატჩში 25 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც უცხოური კლუბის ყურადღება მიიპყრო. 1997 წლის იანვარში მან გერმანულ „ლიუბეკში“ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. იჯარის ვადის ამონტურვის შემდეგ ის დარჩა გერმანიაში, „ფრაიბურგში“. კლუბმა მოიპოვა ბუნდესლიგის საგზური პირველ სეზონში და 1998 წლიდან ბუნდესლიგაში ჩატარებულ 148 მატჩში 30 გოლი გაიტანა.

ეროვნულ ნაკრებში 1998 წელს დებიუტი ჰქონდა. უკანასკნელი მატჩი ნაკრების შემადგენლობაში 2011 წელს ჩატარა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ ნაკრების გაახალგაზრდავების გამო იაშვილის გამოძახებას აღარ აპირებდა. იაშვილმა ნაკრებში 67 შეხვედრა ჩატარა და 15 გოლის გატანა შეძლო.

2005–2006 წლების სეზონში ალექსანდრე გუნდის კაპიტანი გახდა. 2007 წელს „ფრაიბურგში“ გატარებული 10 წლის შემდეგ ის „კარლსრუეში“ გადავიდა. 2013–2014 წლებში ბაქეს „ინტერის“ ღირსებას იცავდა. 2014 წლის ივნისში გადაწყვიტა კარიერის დასრულება და მხოლოდ სამოყვარულო ფეხბურთში გამოდიოდა. 2015 წლის იანვრიდან დაბრუნდა პროფესიონალურ ფეხბურთში და „სამტრედიაში“ ჩაირიცხა. მას შემდეგ, რაც 2014–15 წლების სეზონი დასრულდა და „დინამო“ თბილისის მთავარ მწვრთნელად გია გეგუჩია დაინიშნა, ალექსანდრე იაშვილი კი თბილისურ კლუბს შეუერთდა.



მაგრამ, მოხდა ისე, რომ „დინამოს“ მთავარია მცველთველია, გია გეგუჩია გადაცვითა გუნდში გამოცდილი ჩართველი ფეხბურთელი, ალექსანდრე იაშვილი მიეყვანა. ვერანანი ფეხბურთელი 1 ცლიან კონტაქტი მოაწერს ხელს.

37 ცლის იაშვილება კარიერის უდიდესი ნაწილი უცხოეთში გაატარა. იგი საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო, პოლოს კი „სამტრედიას“ ღირსებას იცავდა და საქართველოს თასის ფინანშიც ითავაშა.



აღსანიშნავია, რომ იაშვილს „დინამო თბილიში“ შესაშუალი სტატისტიკა აძვს. მან 1994–1997 წლების სეზონში თბილისური გრანდის რიგებში 57 მატჩი ჩატარა და 59 გოლი გაიტანა.



დობი, რომელსაც

ცოვილის

გარეული ვარ გაისესვებო




სოხუმი... გაგრა... ბიჭვინთა... სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც ტანში გვზარავს, სიტყვები, რომელთა კვალი ჰაერში იკარგება, მათი გახსენება შიშის, სირცხვილის, სინანულის, ოხვრისა თუ მოთქმა-გოდების ემოციას იწვევს: - შიშის, რამეთუ ფიქრობ, ჩვენი ვაი პატრიოტებისა და ხელისუფალთა უგნურების გამო შთამომავლობას თამარისა და დავითის მიერ გაერთიანებული ქვეყანა ნუთუ სამუდამოდ ერთიორად შევუძირეთ?! სინანულის, რადგან აფხაზეთი ჩვენი სულის სავანე იყო, ოხვრისა თუ მოთქმა-გოდების, რამეთუ სწორედ რომ ჩვენი სულის სავანე ჩვენივე თანამოძმეთა სასაკლაო მოედნად იქცა, ადგილი, სადაც ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ, ადგილი, სადაც სატანა ცეცხლის ენით ლაპარაკობდა და ფეიერვერკებად ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს იყენებდა.

მართლაც და ვაი, რა დავკარგეთ!!! ახლა, ამ ზაფხულის ცხელ დღეებში, რატომდაც ფიქრებში აფხაზეთი ამეცნიატა. ჩემზე უფროსი თაობა შვებულების დღეებს ხომ სწორედ იქ იტარებდა. აბა, საოჯახო ფოტო ალბომებს ჩავხედო. სურათის კიდეზე წარნერა: Сухуми, 1970, Бичвинта 1965 და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს ფოტო არქივი გვახსენებს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და სიდიადის მადლს.

ეს ფოტო სურათებიდა შემორჩა ჩვენს მომავალ თაობას ძველი ნაშთისა და დიდების აღსაქმელად.

ნინო რახვაძელი

ცოვილი



მამაჩინების
სახელმძღვანელოს
მუსტაფა
განსაკუთრებით
ახლაა საჭირო

„თამამად ვიტყვი, რომ მამაჩინების სახელმძღვანელოს შესწავლა განსაკუთრებით ახლაა საჭირო, როდესაც ქალაქში ირლვევა ჰიგიენის უველა ნორმა, ამბობს პროფილაქტიკური მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ჰიგიენის კათედრის დამარსებლის, ბატონი ვასილ კაციტაძის შვილი, თავადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გივი კაციტაძე, რომელიც იმ ფონზე, როცა ლვაჭლმოსილი ხალხი ჩასარეცხად გაწირეს და ქვეყანაში პროფესიონალიზმს არავითარ პატივს არ სცემენ, ბატონი გივი მამამისის სახელის რადიო ეთერით ხსენებამ ფრიად გააკვირვა: - „თავის დროზე ვასო კაციტაძის წიგნში რომ ჩაეხედათ, აღარ დაუშვებდნენ იმ შეცდომებს, რაც დაუშვეს და ამდენი მსხვერპლიც არ იქნებოდა, იყო ნათქვამი რადიო ეთერიდან. ამას დაერთო თურმე სამი ხანდაზმული სპეციალისტის მიერ ვასილ კაციტაძის დამსახურების შესახებ საუბარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს კიდევ შეუძლიათ ქვეუნისთვის სიკეთის მოტანა, რომ ისინი ჩასარეცხნი კი არა, თავის დარგის პროფესიონალები არიან და აზრი უნდა ჰქითხონ“ - ამბობს ბატონი გივი, რომელიც უზრადლებას ამახვილებს იმ ნაშრომზე, რომელიც მოიცავს უველაფერს კომუნალური ჰიგიენიდან დაწყებული რადიაციული ჰიგიენით დამთავრებული - „თამამად ვიტყვი, რომ მამაჩინების სახელმძღვანელოს შესწავლა სწორედ ახლაა საჭირო, როდესაც ქალაქში ირლვევა უველა ნორმა“. - ამბობს ბატონი გივი.

ამონარიდები ვასილ კაციტაძის სახელმძღვანელო:

ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების დაგენერაცია: მთავარი მომენტი, რომელებსაც ტერიტორიის ამორჩევაში ყურადღება უნდა მიექცეს, ქალაქისთვის, დაბისთვის და სოფლისთვის ადგილმდებარეობის რელიეფია. სასურველია, ამორჩეული ადგილი წარმოადგენდეს, სწორ, ოდნავ დაქანებულ სიბრტყეს, რაც ფრიად მიზანშეწონილია ნიადაგის ბუნებრივი ჩამორეცხვისა და კანალიზაციისათვის. ნიადაგი უნდა იყოს მშრალი, ფორიანი და ნიადაგქვეშ წყლები არ

უნდა იყოს ნახევარ მეტრზე ახლოს საძირკვლის დასადგმელი ფენიდან. ნიადაგი არ უნდა იყოს დატვირთული (წარსულში) ნაგვით და სხვა გადანაყრებით. ამ ადგილს არ უნდა ახასიათებდეს ძლიერი და ინტენსიური ქარები (არაუმეტეს 3/5 მმ.წამში), ამორჩეული ადგილი უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლით მომარაგების შესაძლებლობით უნდა ჰქონდეს ნახმარი წყლებისა და ნაგვის გადამუშავების ფართობრივი შესაძლებლობა. ერთ ჰქონდები მოსახლეობის სიმჭიდროვე არ

უნდა აღემატებოდეს 250-400 ადამიანს. შენობასა არ უნდა ეკავოს სამშენებლოდ განკუთვნილი ტერიტორიის 20-25 პროცენტზე მეტი, დანარჩენი 75-80 პროცენტი უნდა დაეთმოს ეზოს და მწვანე ნარგავებს. ქალაქის ქუჩის სიგანე, სასურველია, უდრიდეს შენობის არანაკლებ 1, 5-ჯერ სიმაღლეს. რადგან მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება შენობების დაბალი სართულების უზრუნველყოფა მზის სხივების მინიმუმით. დიდი მნიშვნელობა აქვს საშენი მასალის ჰიგიენას, რადგან ამაზეა დამოკიდებული ბინის სიმშრალე, ჰაერის ცვლა, ხმაურისაგან დაცვა.

სამრეწველო და საცხოვრებელ უბნებს შორის ტერიტორია შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: სამრეწველო ობიექტები, ფაბრიკები, ქარხნები უნდა დაიგეგმოს ქალაქის განაპირა რაიონებში და ისიც იმ ვარაუდით, რომ ქარების მიმართულება დასახლებული რაიონიდან ფაბრიკა-ქარხნებისკენ იყოს და არა — პირიქით. სამრეწველო დაწესებულებისა და მოსახლეობის საცხოვრებელ უბნებს შორის უნდა გაშენდეს დამცველი ზონები მწვანე ნარგავების სახით, რომლის სიგრძე შეიძლება აღნევდეს ასეული მეტრიდან 2 კილომეტრამდე. ქალაქებში, შეიძლება დაიგეგმოს ქიმიური სრულიად უვნებელი და უხმაურო ნარმოებები. ქუჩები უნდა იყოს გამწვანებული და კეთილმოწყობილი. დასახლებულ ადგილებში მწვანე ნარგავები ემსახურება ნახშირმჟავას ანჰიდრიდისგან განტვირთვას და უანგბადით მომარაგებას, მტვრისა და ქარისგან დაცვას (მტვერი ეკვრის ფოთლებს). ყოფილ სსრ კავშირში 1 სულზე გათვალისწინებული იყო 15-25 კვ. მეტრი მწვანე ნარგავები, რომლებიც ნაწილდებოდნენ პარკების, ბაღების და ეზოების მწვანე ნარგავებს შორის. გვახსოვდეს, რომ დედამიწის ყველა კუთხისთვის გამართებული არ არის ერთნაირი ტიპის გამწვანება ან ერთნაირი ჯიშის ხეების გაშენება. მაგალითად, ჩრდილოეთის ქალაქების გამწვანებისათვის საჭიროა პატარ-პატარა გაზონები და დაბალი ბუჩქების ტიპის მცენარეები, ხოლო სამხრეთის ქალაქებისათვის, მათ შორის, თბილისისათვის — დიდფართობიანი მწვანე ნარგავების შექმნა და ხშირფოთლებიანი ხეების გაშენება. ყველაზე ცხელ დროს ხშირფოთლებიანი ხეების მასივს შეუძლია, შექმნას 7 გრადუსით დაბალი ტემპერატურა, რასაც ადამიანის ნორმალური სითბოს რეგულირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც შეეხება მცენარეთა როლს ქუჩის ხმაურის შემცირებაში—ერთნაირ პირობებში ხმაურს ამცირებს: ნეკერჩხალი—22 პროცენტით, ალვა—15 პროცენტით, ცაცხვი—14 პროცენტით,

ნაძვი—11 პროცენტით. ქუჩის ხმაური არ უნდა აღემატებოდეს 35 დეციბალს. არ არის საჭირო ისეთი ხეების დარგვა, რომლებიც ყვავილობისას ამტვერიანებენ ქუჩებს და ინვევენ ალერგიას — მაგალითად, ჭადარი. უნდა დაირგას ნეკერჩხალი, რომელიც ხელს უწყობს ჰაერის განმენდას კარცეროგერის ბენზპირენისგან. ამ თვასაზრისით საჭიროა ფიტოციდების გამომყოფი მცენარეების ჯიშების შერჩევა.

ქუჩების კეთილმოწყობა: ქალაქის ცენტ-რალური ადგილების, დიდი მოძრაობის ქუჩებისა და პროსპექტების სიგანე არ უნდა იყოს 40 მეტრზე ნაკლები, ზოგჯერ 70-75 მეტრიც, რაც, ძირითადად, დამოკიდებულია შენობების სიმაღლეზე. უფრო წყნარი ქუჩების მიმოსვლის სიგანე 15 მეტრზე არანაკლები უნდა იყოს. ქუჩების მიმართულებას, ჩვეულებრივად, უკავშირებენ ამა თუ იმ მხარეში მზის დგომას. მზის მოძრაობის მიხედვით, ქუჩებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: მერიდიანულ და

**თავის დროზე
გასო კაციზაბის
წიგნში ჩოგ
ჩაქედათ, ჩა
შეცდომებს კლას
დაუშვებდნენ...**

ეკვატორულ მიმართულებებად. ცივ ქვეყნებში მერიდიანული მიმართულების ქუჩებს აგებენ, რაც ქუჩასა და შენობას საშუალებას აძლევს, მიღოს მზის სხივი — როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ დგომის პირობებში. ცხელ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში, პირიქით, ქუჩებს აშენებენ ეკვატორული მიმართულებით, რითაც მზის სხივისნობის ძალას კვეცენ. ასეა აშენებული თბილისში 1100-საწოლიანი რესპუბლიკური საავადმყოფო. მერიდიანული ტიპით მშენებლობის დროს შენობის ფასადი მიქცეულია დასავლეთის ან აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ეკვატორული მიმართულების დროს — სამხრეთისა და ჩრდილოეთისაკენ. ზომიერი ჰავის ქვეყნებში

ამაგრი

ქუჩების მიმართულებას გეგმავენ დიაგონალურად, ირჩევენ საშუალო ხაზს ორი ზემოხსენებული მიმართულებიდან. **აქვე შენიშვნა** — ყოველთვის არ უნდა ვეურჩოთ ქარის შემოჭრას დასახლებულ ადგილებში, რადგან ის არის პაერის განიავების სერიოზული ფაქტორი. ამ მიზნით, მთავარ ქუჩებს ქარის მიმართულების პერპენდიკულარულად იმ შემთხვევაში აგებენ, თუ გაბატონებული ქარის ძალა ძლიერია, თუ ქარს მოაქვს მავნე გაზები. ისეთ შემთხვევაში კი, როცა ქარის ძალა და სისუფთავე სასურველ ფარგლებში რჩება, ქუჩებს აგებენ ქარის მოდინების ხელშემწყობად, ანუ პარალელურად.

ქუჩები უნდა იდგეს საკმაო რაოდენობის ურნები ხელის ნაგისა და პაპიროსის ნამწვავების ჩასაყრელად, რომელთა გაცვლა-გათავისუფლება და დეზინფექცია, უმჯობესია, მოგვარებული იყოს არა ადგილზე დაცლით, არამედ დატვირთულის შეცვლით სუფთა-ცარიელი და დეზინფიცირებული ურნით. რაც შეეხება ქუჩების განმენდას თოვლისგან, არ არის გამორიცხული ამ საკითხის გადაჭრა ასფალტის ქვეშიდან გათბობა-გადნობით. აუცილებელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების გათვალისწინება — 1 სულ მცხოვრებზე წელიწადში გროვდება 200 კილოგრამამდე საოჯახო გადანაყარი, ანუ ნაგავი. კვების ნარჩენები — 47 პროცენტი, საფუთავი და ნახმარი ქაღალდი 36 პრცენტი, ნაცვეთი ქსოვილები, ბინიდან გამოტანილი მტვერი და სხვა.

დასახლებული ადგილის დასუფთავება გულისხმობს აგრეთვე იმ თხიერი საბინძურის მოშორებასაც, რომელიც ერთ სულზე 24 საათში საშუალოდ 90-120 გრამადე მკვრივ (მშრალ) ნივთიერებებსა და 1200-1300 მ/ლ სითხეს შეადგენს (1 სული წელიწადში გამოყოფს 35-40 კილოგრამ ფეკალურ მასას და 400-500 მლ. სითხეს). გადანაყარში იგულისხმება საყოფაცხოვრებო ნარეცხი, წყალი, რომლის რაოდენობა ერთ სულზე წელიწადში უდრის 1,5 კუბამეტრს.

ქალაქის განაშენიანების გადეგმარების გათვალისწინებულ უნდა იქნას სასაფლაოს შერჩევაც. გვამების დასაკრძალად სასაფლაო ისე უნდა მოეწყოს, რომ მსახლეობას საფრთხეს არ უქმნიდეს, რადგან გვამმა გახრისას, შეიძლება,

გაავრცელოს პაერსა და ნიადაგში მავნე პროდუქტები და ბაქტერიები. სასაფლაოებზე ქალაქის წყალსადენის გაყვანა მხოლოდ განკასუთრებული წესების დაცვით უნდა მოხდეს. სასაფლაოებისათვის ტერიტორია უნდა შეარჩიონ ქალაქიდან მოშორებით, არანაკლებ 1-2 კილომეტრზე ნიადაგი უნდა იყოს ფორმიანი და მშრალი, მინისქვეშ წყლის დგომის დონე კი იმდენად ღრმა, რომ საფლავსა და ამ დონეს შორის ნახევარი მეტრი მაინც რჩებოდეს. მშრალ, ფორმიან ნიადაგში ადამიანთა გვამები იფიტება, მათი გარდაქმნა მიმდინარეობს არა ლპობის, არამედ ჟანგვითი პროცესით, ანუ მუმიფიკაციას.

ერთი გვამისთვის საფლავად საჭიროა ორი მეტრი სიგრძისა და 90 სმ სიგანის ფართობის მიწა, მაგრამ გასათვალისწინებელია საფლავთა შორის ადგილები და სასიარულო გზები, რის გამოც ერთ გვამზე, საშუალოდ ივარაუდება 5 კვ.მიწა. საფლავის სიღრმედ მიღებულია 2-2,5 მეტრი, საფლავებს შორის მანძილი — 1 მეტრი. სასაფლაოდან პარკად ან სკვერად გამოყენება მიზანშეწონილია, გვამის დამარხვიდან 10-15 წლის შემდეგ. ინფექციით გარდაცვლილთა გვამები უნდა დაიკრძალონ 24 საათში, ეკინიგზით მათი გადატანა საჭიროა მოთუთავებული ან ჰერმეტულად დარჩილული თუნიქების კუბოთი.

არსებობს ასევე კრემაცია, რაც ჰიგიენის თვალსაზრისით, მისღრბია. გვამის დაწვის ტემპერატურა 1000 გრადუსი, ამას აღწევენ გაზით ან ელექტრონერგიის გამოყენებით, დაწვა გრძლედება 1 საათამდე და ერთი გვამიდან, საშუალოდ, 1-დან 1,5 კილოგრამადე ნაცარი რჩება, მაგრამ კრემაცია ბოროტმოქმედების კვალის დაკარგვის შესაძლებლობის თვალსაზრისით გაუმართლებელია, რადგან ასეთ დროს ექსგუ-მაცია შეუძლებელია. ამიტომ კრემაციის დროს საჭიროა სასამართლო ექიმის სპეციალური მიმართვა.

მასალა მოამზადა
ნიცო რეცივაზვილება



ვასილ პაციტაძე

იმ გევოზის ლადანი ოღოღი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ჭრებალოში, ქალბატონი ია გაზოშიძეს ყველა იცნობს. მან წარმატებით დაამთავრა ჭრებალოს საშუალო სკოლა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ქალბატონი ია კაჭრეთში სწავლობდა, რადგან მამამისი, სეითი აგრონომი იყო და იქ მუშაობდა, შემდეგ მამა დაბრუნდა ამბროლაურში და რაიონში სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობდა, ხოლო იამ სწავლა სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც წარმატებით დაამთავრა, სწავლის დასრულების შემდეგ კი მუშაობა დაიწყო ხვანჭკარის ღვინის ქარხანაში ლაბორანტად. ქალბატონმა იამ ცხოვრების მეგზურად თანასოფლელი აგრონომი ჯემალ გორდეზიანი აირჩია. მათ ოთხი შვილი აღზარდეს, მაგრამ მუხთალმა საწუთრომ საშინელი დაღი დაასვათ და ტრაგიკული შემთხვევის გამო უფროსი ვაჟი 9 წლის ასაკში დაეღუპათ. აცრემლებულმა მშობლებმა ძალა მოიკრიბეს და დანარჩენი 3 შვილის აღზრდისათვის არაფერი დაიშურეს. ქალბატონი ია ღირსეული ვაჟკაცების— კახასა და მანუჩარის, ასევე საუკეთესო ქალბატონის,



ხათუნას დედაა. სამივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ია გაგოშიძე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ჭრებალოს ღვინის ქარხანაში 17 წელი დეგუსტატორად მუშაობდა. 1995 წ. შეიქმნა შ.პ.ს. „რაჭული ღვინო“, სადაც ქალბატონი იას ოჯახიც გაერთიანდა. ჩამოისხა საუკეთესო ღვინო „ხვანჭკარა“. ამ გაერთიანებაში დედასთან ერთად დამკვიდრდა ღვინის ტექნოლოგი

კახა გორდეზიანი. ქალბატონ იას ყოველთვის დიდი წვლილი შეპქონდა რაჭული ღვინის ხარისხის დაცვის საქმეში. დღეს მის დაწყებულ საქმეს ბუგულის ღვინის ქარხანაში ღირსეულად აგრძელებს მისი შვილი კახა გორდეზიანი.

ქალბატონ იას დიდი ოჯახი ჰყავს: მეუღლე, 3 შვილი, რძლები, სიძე, 6 შვილიშვილი. მას მთელი სოფელი, მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები აფასებენ და პატივს სცემენ.

ია გაგოშიძის განვლილი გზა, ღირსეული შვილები და ოჯახი ყველასთვის მისაბაძია.

ღმერთმა უმრავლოს რაჭველებს მსგავსი ქალბატონები.

მასალა დაიგეზდა ამპროლაურის მუნიციპალიტეტის თხოვნით



უფრო - ხიდით არჩევენ.

მგზავრობისას გავისანი გურმანები სწორი ჰეიდერი. მას ჰყებები მომატებისას იმ ხიდით სახურავული გაისაზღვრა. მას შემდეგ, რას გავხდი პირველი „ასევე“ საქართველოსთვის“ მონაცემები. პირველი შთაბეჭირების არასტონს დამაჯინებება. უკუკინებდი მთების ძირში. მდგრადი განვითარებულ კონფინენტებს და კუთხეთობის განვითარებისას თუ ხიდმართი. აღმოჩენა მომიურანა უზრუნველისმა მთებმა და მარადთოვლისასმა მყინვარებმა, ინკვრიუ გამოუყობელმა ხიდმართი. რომელსაც მხორცი მდინარის ხმა და ფრინველის

მოგენარებით საქართველოს უკამაზული კუთხი - საქორთველო. მე ბებისერი კანკ რომ მოვხვდი ამ ჩრისტიანულ სამყაროში. ჩემი თავგარასული დაიხურ მას შემდეგ, რას გავხდი პირველი „ასევე“ საქართველოსთვის“ მონაცემები. პირველი შთაბეჭირების არასტონს დამაჯინებება. უკუკინებდი მთების ძირში. მდგრადი განვითარებულ კონფინენტებს და კუთხეთობის განვითარებისას თუ ხიდმართი. აღმოჩენა მომიურანა უზრუნველისმა მთებმა და მარადთოვლისასმა მყინვარებმა, ინკვრიუ გამოუყობელმა ხიდმართი. რომელსაც მხორცი მდინარის ხმა და ფრინველის

შ ჰიანერმა ემოსილო ხელში ფოტოსასრული უჭირა. ბავშვებს მიხი გაუნისა ძაღლის გაუხარისათ. გარევილეთ სამახსოვრო ფოტოები და ბევრი ვისტაუბრეთ. შემდეგ კი სამახსოვრებელ თასები გარაინაუგრუთ. სადაც უკრავდი, ცისარწყებრის მხედვის აურა შევისანეთ, ა იხეთი, რასაც ახალს და



სადაც ფიდი ხიდურულით მიმიღუნ. დიდით შემარტებით და რასაცნარისად განსხვავებული შეგრძნებით კუნძულოვან ღუბის საჭარო სელისა. ვგრძნობდი. უსხო არმიანების შეკრას და ინფრენისით საჭელ გამოიგენერება. პირველი გაკვეთით ათი წუთი აკრა გამოხდამდე, რომ მოყოლეობები კანკი


განსხვავებულის რომ ნიშნავს მათთვის. იყო ბევრი ლიმიტი და თბილი სიცუკვები.

შეუძლისას ჰიანერი მასინებელ ლახში მეცნიერო. მინტვა მრავალურნოვანი ქართული კულტური და მაჭინით საჭელ ჭირით დასხული მიხანი დამიღება. იმ

ବ୍ୟାକିଲା ରୂପାଳ୍ପିନୀ

დღეს სინერგიას ავტომატი და ლინებშესანიშნობები
გავათვარირებული. სარამი ხას ცენტრი გავაყიდულ. გვიან
მივიღო პინგინის შეცვლინება. რომ, ძრავა მოიხილა
რაჭის სირამაზით და მოხანდების ცენტრიმოყვარეობით.
მე კი გმირი მიწოდა.


Կոմիտաս քրոջ Եղիմի ովկ, շըմեհիշենցիօթ եւ եղանակ. ուն



დაუმატებული საჭიროების თქმით, გურიაში მოკითხვით
ძალის მიხარია როგორც გურია, რომ არსებობს კიდევ ისეთი
საჭირო, რომელთაც ადამიანობა შეუძლიათ მოთხოვის ექიმობა
კუთხიშობისას, რომის სიყვარული. მიუკარს წრიაღისების
არამატებელ გურია, ბევრი სირთულის გადამახვიდვის,
შრომისმოყვარებულის, ბევრი სირთულის გადამახვიდვის,
შრომისმოყვარებულის, გმირი საჭიროების. თუ
კუთხის გურიაში მცხოვრილი ამ ჯადოსნეულ მხარეს, ისე მოიხსენიებით
კუთხის გურიაში მცხოვრილი ამ ჯადოსნეულ მხარეს.

ու մօխա չը, և ուստի յարուց յի շահն մռցւցնո՞ւ,
պեսնըշըն կարս մմարցնեն, և ուն ծաշքաջնուսաւուն յարցաւու
Շնեսդուցընունուն մայնումնու. և ամենինոր, ծաշքաջնեն
եռուցաք ենունաք պերցուտ եսմինունեց եսմունունուն համա,
և ուստի յարուց եռուցաւուն ենուցաւ շահն յարցեցնեցն.
Այս ամեստուն բայց պարունակութ պարզութուն մռցվեռ-
քնձրո, և ուն յանուրցաք- և ուն յահն և մունունից պերց
պայունուուր մատ լինունունուն. և ուստի շահն տազունու
մռմայրու ըս պարու մերոյ յայցաւուն եռուցաւուն ըս
եսդունոր, և ամենունուսաւուն. մե մքուն, ուսոն լունունուն
յարցաւցնեցն յամենունուն. ոմքենաք յամունինուն
յանուն ենուա ծաշքաջնուսաւուն մռցումնեցնու, և ուն ունունուն,
մունուն, և ամենունուն եռուցաւունու. յարսուցնուն
յանուն ըսնեցն եղունու, եսբաւունու, յարունուուր ըս
ենուսաւու. լուն օրունու ուստինուն յանունուն յս տառն
յայցաւցնեցաք յայմանուրցաք օմքենուն ուսոն, յայուն, յայս...
մատուն յանուսորու յարսունուն յարցաւցնուն ըս մռցաւուն
եռուցաւունու.

არახელოს ღამუკინება სოჭუში გაცალებული ყოველი
კუთხი, დრო, საათი და წელი. ნაჩვირავ ტები მოგონების
თაობაზე გადის სუსა უს პერიოდი ჩემს ცხოვრებში.



კაცი, სიკეთის ლიგუნდია

ელგუჯა ბაკურაძე

... ასეა სწორედ, ისტორიას ღირსეული კაცები წერენ!

მზესავით დღეგრძელი, ნათელი და უკვდავი იყოს შენი სახელი, ძვირფასო ელგუჯა!

ეს წუთისოფელი მარტო სიკეთის სიკეთის სიკეთის კი არა, სახელ-სიკეთითაც იზომება. ელგუჯა ბაკურაძეში ძალზე მოჭარბებულად იყო თავმოყრილი ღვთისაგან ადამიანებისათვის ბოძებული სიკეთის შექმნისა და უანგაროდ გაცემის გენეტიკა.

სიკეთის, მხოლოდ სიკეთის კეთება იყო ელგუჯა ბაკურაძის ცხოვრების მთავარი კრედო, რომლის შემსწრე და მნახველი გახლავართ მეც, როგორც მისი სამეგობროს წარმომადგენელი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

როგორც ყველასათვის ცნობილია, მას ფართო სამეგობრო წრე ჰყავდა. მეგობრობა ერთი გაცნობითა და შეხვედრით არ ყალიბდება, სხვა ურთიერთგაგება და ცოტა მაგნიტური მიმზიდველობაც სჭირდება. ჩვენც, მის მეგობრებს, გაგვაჩნდა რაღაც დამახასიათებელი ხიბლი ამ მხრივ, მხოლოდ ელგუჯა ბაკურაძეში კი კონცენტრირებული იყო ყველა ერთად. ელგუჯა მეტად საინტერესო ადამიანური მოვლენა იყო ჩვენთვის და ვფიქრობ ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. მიუხედავად ნახევარსაუკუნოვანი



ელგუჯა ბაკურაძე

მეგობრობისა, ჩემთვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩა, თუ როგორ ახერხებდა ის ამდენი სიკეთის კეთებას ყველა ნაცნობ-მეგობრისათვის.

ნათესავებისა და ახლობლებისთვის ხომ აღიარებული და ყოველივე საუკეთესო მაგალითის მიმცემი — კუმირი იყო. ასევე ფასდაუდებელი და მთელ საქართველოში აღიარებული იყო მისი სტუმართმოყვარეობის მაღალი თვისებები. ალბათ ასეთმა კაცებმა დააწერინეს აკაკი წერეთელს 1912 წელს ონში, დავით გოცირიძის სახლის კედელზე (სადაც მან დამე გაათია) შემდეგი ფრაზები:

„სტუმართმოყვარეობა რაჭველთა განთქმულია,

მაგრამ სტუმრის გულშიაც მათი სიევარულია“, ისიც ამოუცნობია, საიდან ჰქონდა ელგუჯას ამდენი ენერგია და სითბო რაჭის კუთხეში ყველა ჩამომსვლელისადმი.

რაც შეეხება ამბროლაურისა და ონის მოსახლეობის მიმართ მის დიდ ყურადღებას და თანადგომას, სწორედ რომ შეუფასებელია. ამიტომაც მისდამი ჩვენი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას ვერავითარი დრო და უამი



რეზონენდარიშვილი

კაცობა რჩეულთ ხვედრია

ვერ გაახუნებს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ელგუჯა ბაკურაძის მოღვაწეობის პერიოდში ალბათ ათასჯერ მაინც მოხდა ამ რაიონის ხელმძღვანელობაში კადრების განახლება, მაგრამ ყოველი მათგანი დიდ პატივს მიაგებდა მას. სინამდვილეში მხარის პოტენციურ ლიდერად მოიაზრებოდა იგი. იყო სახელოვანი კაცი და ის ერთხმად იქნა აღიარებული მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რაჭაში მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო ღირსეულ პიროვნებად.

ასეთი ფართო გულის კაცად ვიცნობდით ძვირფას ელგუჯას და ისიც კარგად ვიცოდით, როგორც აისბერგს, მასაც ჰქონდა სხვათათვის ხილული სახის გარდა დაფარულიც - ტკივილთა და შინაგანი წვით სავსე საკუთარი „მე“.

...უმძიმესი განცდა იყო ჩემთვის და ელიზ-ბარ თოდაძისათვის საავადმყოფოში ელგუჯა ბაკურაძესთან ბოლო შეხვედრა, როცა იფერფ-ლებოდა მის სულში დაბუდებული სწრაფვა

სიკეთის კეთებისა და უფალი ამზადებდა მას ზეციურ საუფლოში გადასასახლებლად. დაგვე-მშვიდობა შემდეგი სიტყვებით: საკითხავია, ვინ უფრო წვალობს, ცოცხალი თუ გარდაცვლილი, ყოფნა სჯობს თუ არ ყოფნა. ნუ იწუხებთ, ჩემს შვილებთან მივდივარ, თქვა და საწოლში გვერდზე გადატრიალდა... იმ ღამეს გარდაიცვალა...

გის უნახავს სასაფლაო, უფლის
ხელით დახატული,
გის უნახავს საფლავებში როგორ
მოჰქმდის ნაკადული,
როგორ მოჰქმდის, როგორ მოჰქმდეს,
კით სიცოცხლე უშიშარი
და როგორ დუმს სასაფლაო, კით იქსოს
ლურჯი ტანი?!
ლადო ასათიანი
გულისაუბრი პატივისაფეხითა და სიყვარულით
რევაზ ნოდარიშვილი

ვსიქოლოგი

როცა სიტყვა და სახე ცრთხაცეთს ეთსვავა, უცლაგი კრ ცყრვლება



იმედგაცრუებები აუცილებელია ადამიანის განვითარებისთვის, ფსიქოლოგები სხვადასხვა მეცნიერული მიდგომით ცდილობენ ადამიანის ქცევის შესწავლას და მის საფუძველზე მისი ჭეშმარიტი განზრახვის ამოცნობას. მაგრამ აქ ჩნდება ერთი პრობლემა - კერძოდ, ყოველი კონკრეტული ქცევა ნამდვილი განზრახვის შესაბამისი არაა. უფრო მეტიც,

ყოველი განზრახვა შესატყვის მოქმედებას არ განაპირობებს. მაგალითად, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს კეთილი განზრახვა, მაგრამ ქცევა შესაძლოა ყოველთვის არ იყოს შესაბამისი. ან კიდევ, შესაძლოა კეთილი საქმე ბოროტი განზრახვითაც კი იყოს გამოწვეული. ეს წყალში ჩაყრილი მაღლია.

ამ საკითხზე გვესაუბრება ნმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ფსიქოლოგიური ცენტრის თანამშრომელი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, ვსიქოლოგი ლელა ტყეშელაშვილი.

- ადამიანს და მის ქცევას ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ. როგორც ამბა დოროთე აღნიშნავს, შეიძლებათქვას, რომ ადამიანმა იცრუა, განრისხდა, იმრუშა, მაგრამ სულ სხვაა, როცა მას მატყუარას, მრისხანესა და მრუშს უწოდებ - ეს მისი განკითხვაა.

ამგვარი გაიგივების შედეგია ბავშვობაში მიმაგრებული „იარლიყბი“: „უქნარა“, „სულელი“, „დონდლო“, სულაც სამედიცინო დიაგნოზები

ვსიქოლოგი

„ფსიქოპათი”, „ნევროტიკი”, „იდიოტი”. ადამიანი ეგუება ამშეფასებას და უნებლიერთმათ შესაბამისად იქცევა.

ქცევის გარეგნულ მხარეზე დაკვირვებით ვერ განსაზღვრავ, რით არის ის განპირობებული. ერთი შეხედვით მისაღები ქცევა შეიძლება მიუღებელი განზრახვითაც იყოს გამოწვეული, ქცევას სახელს მოტივი არქმევს. სიკეთის, პროგრესის, თავისუფლების, კეთილდღეობის სახელით ჩადენილი ბოროტება ადამიანების თვალშიც კი ბოროტებადვე რჩება და მით უფრო, უფლისთვის.

წმინდა იოანე კიბისაღმწერელი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ უფალი ყურადღებას აქცევს ადამიანის განზრახვას, იმას, თუ რა ხდება მის გულში და არა მხოლოდ გარეგნულ გამოვლინებას. ეს კარგად ჩანს სახარებისეულ ეპიზოდში, როცა სიმონ კეთოვნის სახლში ერთი დედაკაცი გატეხს ალებასტრის ჭურჭელს და ძვირად ღირებულ ნელსაცხებელს მაცხოვარს დაასხამს. მისი ამ საქციელის გამო ყველა აღმფორთდება, გაყიცხავენ მას, რადგან შეეძლო ეს ნელსაცხებელი სამას დინარზე მეტად გაეყიდა და ღარიბებისთვის დაერიგებინა. მაცხოვარი კი ესარჩევება მას და ინონებს მის საქციელს: „აცადეთ მაგას, რაისა შრომასა შეამთხუეთ? რამეთუ კეთილი საქმე ქმნა ჩემთანა” (მრკ. 14,3-6).

- ყოველთვის იცის ადამიანმა, რას სჩადის?

- საკუთარი ცოდვების ხედვა ერთ-ერთია სულიერ ნიჭთაგან, რომელიც ადამიანს ეძლევა, მაგრამ როგორც წმინდა მამები ამბობენ, სხვა სულიერი არსებებისგან განსხვავებით, ის ახერხებს, საკუთარ თავსაც კი დაემალოს.

ნამდვილ განზრახვას, რომელიც ქცევას განაპირობებს, ყოველთვის როდი აცნობიერებს ადამიანი. სხვა შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა, რატომ იქცევა ის ასე და არა სხვაგვარად, მით უფრო, თუ მისი შედეგი არ არის მისთვისვე სასურველი. გაუგებარია, რატომ უჩნდებათ ადამიანებს თვითმკვლელობის სურვილი ან რატომ სცემს მოყვარული მშობელი ბავშვს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მათ ამოძრავებთ არაცნობიერი მოტივი, ხოლო რადგანაც ქცევა განიცდება, როგორც უნებლიერ და იმპულსური, არაცნობიერი მოტივაცია ათავისუფლებს ადამიანს დანაშაულის განცდისა და სინდისის ქერჯნისაგან.

ჩვენი პიროვნება ნაწილებისაგან - შინაგანი "მე"-ებისგან შედგება. ისინი ყოველთვის ჰარმონიაში როდი იმყოფებიან ერთმანეთან. ერთი და იგივე ქცევა ან განზრახვა შეიძლება მისაღები და სასურველი იყოს პიროვნების ერთი ნაწილისთვის, მაგრამ სრულიად მიუღებელი - მეორისთვის.

ეს ართულებს არასასურველი ჩვეულებებისგან განთავისუფლების პროცესს.

ადამიანს, რომელიც ცნობიერად და მიზანდასახულად იქცევა სხვა ადამიანის საზიანოდ, სათავისოდ შესაძლოა დადებითი განზრახვა ჰქონდეს, რომელიც თავისთვის გულაც არ გულისხმობს სხვისთვის ზიანის მიყენებას, სხვაგვარად რატომ ჩაიდენდა ამ ქცევას?

- მაშ, ბოროტება არ არსებობს? როგორ მიღის ფიქრი დანაშაულამდე?

- ამბობენ, რომ ბოროტება დამახინჯებული სიკეთეა. ეს აზრი უდევს საფუძვლად ყველა ბოროტებასა და სისასტიკეს, რომელიც ჩაუდენიათ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. თვით ადოლფ ჰიტლერსაც კი გააჩნდა დადებითი განზრახვები იმ სისტემის ფარგლებში, რომელთანაც ის თავის თავს აიგივებდა. ამგვარი პოზიტიური განზრახვები ჰქონდათ ევროპელებს, რომლებიც ხოცავდნენ ინდიელებს საკუთარი ოჯახების დაცვისა და კეთილდღეობის საბაბით. მათთვის „წითელი ეშმაკები“ ადამიანების კატეგორიას არ მიეკუთვნებოდნენ. დემოკრატის დაცვა და მსოფლიოსთვის „წითელი საფრთხის“ აცილება იყო ამერიკელებისთვის ვიეტნამის ომის „კეთილშობილური“ მიზანი. ხალხის მტრებთან ბრძოლად და პატიული რიგების წმენდად იყო წარმოდგენილი საბჭოთა რეპრესიები. ტყუილად როდი ამბობენ, რომ ჯოჯოხეთის გზა კეთილი განზრახვებით არის მოფენილი. ისეთი დადებითი განზრახვაც კი, როგორიც არის თავდაცვა, ხშირად აგრესიული ქცევის უკან დგას. შიშის საფუძველი საკუთარი უსაფრთხოებაა, რისხვა დისტანციის შენარჩუნების განზრახვით შეიძლება იყოს განპირობებული. ასეთსავე სამოსელშია გახვეული ბოროტება, როცა წარმოვთქვამთ უწყინარ ფრაზებს: “ოჯახის დაგეგმვა”, “ორსულობის შეწყვეტა” და სხვა.

როგორც ვხედავთ, კეთილი განზრახვა ჯერ კიდევ არ მოასწავებს კარგ ქცევას. პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როცა ამ განზრახვისთვის ადამიანს არ შეუძლია სხვა - პოზიტიური ქცევის მისადაგება, არა აქვს ამის გამოცდილება და ვერ წარმოუდგენია, სხვაგვარად როგორ შეიძლება დაიკმაყოფილოს სურვილი, რომელიც ამ განზრახვას უდევს საფუძვლად.

- საიდან ჩნდება და ყალიბდება მიუღებელი ქცევა და ჩვევა, თუკი მას საფუძვლად იმთავითვე დადებითი განზრახვა ედო?

- თავდაპირველად ეს იყო ქცევა, რომელიც მომენტალურად ახდენდა ამ განზრახვის რეალიზებას. მაგალითად, თუ ბავშვის ჭირვეულობა გამოიღებს მისთვის სასურველ შედეგს, ის ისწავლის

ამ გზით მშობლის იძულებას, დაუკმაყოფილოს მოთხოვნილებები. მოზრდილობისას ეს ქცევა შეიძლება აღარ გამოადგეს, მაგრამ არ ეცოდინება, სხვაგვარად როგორ მიაღწიოს მიზანს და ჯიუტად განაგრძოს იმავე სტრატეგიის გამოყენებას სხვა კონტექსტშიც.

თამბაქოს მოწევა თავდაპირველად ცნობისმოყვარების დაკმაყოფილების, თვითდამკვიდრების, ზრდასრულ ადამიანად თავის წარმოდგენის საშუალებაა, შემდეგ ამას მნიშვნელობების რიგი ემატება, როგორიცაა ადამიანთა საუბრის გაბმის საშუალება, სამუშაოსგან შესვენება, ნერვების დამშვიდება, საკუთარ თავთან განმარტოება და ა.შ. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანს მოწევის გარეშე ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელების უნარი და გამოცდილება არ გააჩნია. უკვე ნათელია, რისი დაკარგვის შიში ექნება მას, თუ შევთავაზებთ, რომ მოწევას გადაეჩვიოს.

- როგორ ვაქციოთ სიტყვა საქმედ?

- უპირველესად, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ განზრახვა და ქცევა - ის, რასაც აკეთებთ და რისი მიღწევაც გსურთ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ხშირად ის, რასაც ვაკეთებთ, არ გვაძლევს იმას, რაც გვსურს, ზოგიერთი ქცევის შედეგი კი სულაც მიზნის საწინააღმდეგოა.

ადამიანი მხოლოდ თავისი სურვილების დაფიქსირებით შემოისაზღვრება ხოლმე და არაფერს აკეთებს მის მისაღწევად. „მინდა ჭკვიანი ვიყო“, „მინდა სამსახური“, „მინდა გემრიელი საჭმელი“ - გაუთავებლად იმეორებს ის. გარემო მხოლოდ ექის თუ დაუბრუნებს ამგვარ განცხადებებზე. სიტყვა „მინდა“ ბავშვობიდან არის შემორჩენილი, როცა პატარა ადამიანს თავი სამყაროს ცენტრი ჰგონია და თავისი სურვილების დაკმაყოფილებას გარემოდან - მზრუნველი უფროსებისგან მოელის. ასე რომ, ან უარი უნდა განაცხადოთ სიტყვაზე „მინდა“, ან შეეჩიოთ მის ასრულებას წარმოთქმისთანავე. უმჯობესია, თუ სიტყვას „მინდა“ შეცვლით გამოთქმით „გადაწყვიტე“, „შევასრულებ“, „გავაკეთებ“.

თუ ადამიანს მიზნის მიღწევა სურს, მთავარია გადაწყვეტილების დროულად და სწორად მიღება. მერე რა, რომ მას შეიძლება წარმოდგენა არა აქვს, როგორ, რა საშუალებებით მიაღწიოს მიზანს, ამის რესურსები უთუოდ გამოჩნდება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და არა მანამდე. ეს ერთი შეხედვით პატარა დეტალი განსაზღვრავს ადამიანის წარმატება-წარუმატებლობას. თუ გსურთ დაიწყოთ ბიზნესი, შეცვალოთ კარიერა, შექმნათ ოჯახი, დროულად მიიღეთ შესაბამისი

გადაწყვეტილება. არ ლირს დრო დაკარგოთ იმაზე ფიქრსა და განსჯაში, შესაძლებელია თუ არა ამ მიზნის მიღწევა. დროებით გვერდზე გადადეთ კითხვა „როგორ?“. თუ ეჭვმა და გაუბედაობამ თქვენი ცნობიერება გახლიჩა, ასევე გადანაწილდება და შესუსტდება თქვენი შესაძლებლობები.

ფსიქოლოგებმა ერთი საინტერესო მოვლენა დააფიქსირეს: როგორც კი ადამიანი ჩამოაყალიბებს და გამოთქვამს თავის გადაწყვეტილებას, ძალიან მალე - 1-2 დღეში ან უფრო ადრეც კი გამოჩნდება გზები და რესურსები მის აღსასრულებლად. ამ მოვლენას არაცნობიერი მიზეზები უდევს საფუძვლად. მყარი გადაწყვეტილების მიღების ფონზე ადამიანი უკეთ ამჩნევს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებსაც მის მიზანთან აქვს კავშირი.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყველა აზრი, რომელიც ადამიანს გონებაში გაუელვებს, უკვე განზრახვაა. ეს კარგად უნდა გვესმოდეს, რადგან როცა ჩვენსავე გადაწყვეტილებაში ეჭვი შეგვაქვს ან ურთიერთსანიალმდეგოაზრები გვიტრიალებს, ამით ვისახავთ და არაცნობიერად იქვე უარვყოფთ მიზანს. სწორედ ამიტომ არ უნდა მივცეთ გასაქანი ისეთ აზრებს, რომლებიც ფაქტობრივად მიზნის საწინააღმდეგო განზრახვას წარმოადგენს, და თუკი ჩვენი აზრები ურთიერთჰარმონიული იქნება, მიზნებიც ბუნებრივად და ადვილად შეისხამს ხორცს.

- რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა, რომელიც შედეგის პირისპირ დარჩა და აფასებს თავის საქციოელს?

- ქცევის შედეგი განაპირობებს, გაიმეორებს მას ადამიანი თუ შეცვლის სტრატეგიას. შედეგი მიგვიყვანს დაკმაყოფილებამდეც და სასოწარკვეთილებამდეც. ზოგჯერ ღმერთი უშვებს, ადამიანი შეცდეს მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ გააცნობიეროს საკუთარი უძლურება და უფალს მიენდოს, რათა კიდევ ერთხელ გაიაზროს საკუთარი სურვილები და განზრახვები. ყველას აქვს შეცდომის დაშვების უფლება; გადაცდომები და იმედგაცრუებები აუცილებელია ადამიანის განვითარებისთვის. საქმე ის არის, რომ ამ დროს არ უნდა დავშორდეთ ჭეშმარიტებას, არ დავკარგოთ უფლის სასოება და ჩვენს ქცევაზე პასუხისმგებლობა თავად ავიღოთ. ბავშვიც კი ნაკლებად იჯერებს იმას, რასაც ეუბნებიან, თუ წარმოთქმული არ შეესაბამება იმას, რასაც მთქმელი აკეთებს, ხოლო როცა სიტყვა და საქმე ერთმანეთს ემთხვევა, შედეგი არ აყოვნებს.

ლელა ჩხარტიშვილი



მავინიერების ავტოსერვის

გორენა კოშარიძის ხეოვნები

შორენა! - ამ სახელის გაგონებაზე ყველა ქართველს „დიდოსტატის შორენა კოლონიკელიძის ასული გაახსენდება ხოლმე. უზაფოდ მშვენიერი თავადის ქალი... საბეჭნიეროდ, საქართველო სავსე არის შორენებით... ერთ-ერთი მათგანი შენც იყავი, ჩვენო ხორცშესხმულო ანგელოზო და მშვენებავ!

ქართული ენა სავსეა ეპითეტებით და არ არსებობს ქართულ ენაში კეთილგონიერების თვალჭრილობის სიზმინდის კულტურის და სხვა ყველა ღირსების გამომხატველი სიტყვა, რომელიც შენ არ მოგესადაგებოდეს, - დაუფიქრებლად ნარმოთქმული ეპითეტისაც ყი არ შერცხვებოდა ადამიანს თავის გონებაში, ეს რა

ვთქვით და რა ვილაპარაკეთ შენი დღეგრძელობისასო, რაც არ უნდა გვეთქვა. ყველაფერი ზედგამოჭრილი იყო შენთვის, ჩვენო სიამაყე!

ღებს სხვადასხვა დროში და თაობებში მრავალი რძალი შეუძენია, ვისაც „ქაცობის გვირგვინი“ დაუდგამს თავზე მეუღლისათვის. ერთი იმათთაგანი მათში გამორჩეული და აღმატებული შენ იყავი, შორენა, შენ, ყვავილივით ნაზი და ფაქიზი, - ფეხადგმული და მოარეული ყვავილი, სიჟეთით და სათნოებით სავსე ადამიანი, - თავად სიჟეთე და სათნოება! - როგორ იყავი ასეთი განონასწორებული და თავდაჭრილი, რომ ერთი ზედმეტი ქცევა ყი არა, ზედმეტი სიტყვაც ყი არ დაგცდენია არსალ და არავისთან.

შეწუვეტილი სიცოცხლე

დღეს, ქვეყანაზე სულიერი სიღარიბე უფრო იგრძნობა ვიდრე მატერიალური, სულიერი სიმდიდრე კი ყველა სიმდიდრეს ჩრდილავს და აცამტვერებს. შენ, კრისტალივით წმინდა, ლამაზი, ნათელი და მდიდარი სული გქონდა. ის სიკეთეს და მადლს ასხივებდა და აფრქვევდა მზესავით, „ყველაფერის არ უბოძებენ ლმერთები ერთ ადამიანსო“ - ნათქვამია, მაგრამ შენ ყველაფერი კარგი ნამდვილად გიბოძა ლმერთმა, შორენავ, მერე რა რომ შენ „ცნობადი სახე არ გახდი, ეს შეიძლება სამომავლოდ არც იყოს სახარბიელო... ლმერთი და სხვა „ზეციერი შემოქმედნი“ გვნობდნენ და ტყბებოდნენ შენი უზადო გარეგნობით, სათნოებით და წესიერებით, ამიტომაც ქრისტეს ასაკში წაგიყვანეს ამ ქვეყნიდან იქ, სადაც იბადება, შენდება და მწიფებდა სული, - ზოგი ადრე, ზოგიც გვიან, - იმ ქვეყნაც, ანუ სხვა კეთილთაოვის უკეთეს პლანეტაზე...

სიცოცხლეს რამდენიმე „საშიში მოსახვევი“ აქვს; პირველი 19 წლის ასაკია, მეორე - 26, მესამე - 33, მეოთხე - 44, მეხუთე - 53, მეექვსე კი - 66, ამ თარიღებთან მიახლოებისას და გაცილებისას სიფრთხილე მართებს ადამიანს... შენ 33 წლის ასაკთან სიცოცხლეს ვერ გაუფრთხილდი. სიფრთხილე მოადუნა „ზეციურმა ხელისუფალმა“, - „რაც ზეცაში გადაწყდება, მიწაზე არ შეიცვლება“ და წელიწად ნახევარი იტანჯებოდი და ვიტანჯებოდით ყველანი, რომ ეს „გადაწყვეტილება“ შეგვეცვალა. რაც გასაკეთებელი იყო, მეტიც კი - გააკეთეს შენმა საიმედო ადამიანებმა, მაგრამ... მაინც წახვედი, დაგვცილდი, წახვედი ისევე ღირსეულად, როგორც იცხოვრე და იცოცხლე ამ ქვეყანაზე, სიკედილმა ვერ დაგამარცხა, ვერ გაგდება, თუმცა კი აჯობა სიცოხლეს. აჯობა! სიკედილი ყოველთვის ჯობნის

სიცოცხლეს, მისთვის არის დაუმარცხებელი, ყველას მომრევი, - მას იქეთ მივყავართ, სადაც საჭიროა და სადაც გვეკუთვნის, სამოთხე ანუ „კარგი პლანეტა“ შენნაირთა საბინადროოა. შენ ხომ დედა ტერეზას დასის წევრი ხარ, დედა ტერეზას მადლით მოსილი. თვითონაც მადლიანი, სათნო, იმედისა და ნუგეშისმცემელი გარშემომყოფთათვის... მათთან იქნები სულით და ხორცით ანგელოზო... ცოდვა შენ კი არა, ცოდვანი ჩვენ ვართ, ვინც კი უშენოდ დავრჩით... სიკედილის რაობას ნელ-ნელა გვიხსნის ლმერთი და სწვლება ადამიანი, ყველა ლმერთმა დააბეროს, ვინც კი დაბადებულა, მაგრამ... უდროოდ ძალიან გამორჩეულები მიდიან, მით უმეტეს - ამ ასაკში, გამორჩეულობა ხომ ბედნერებაა თუნდაც უდროოლდნეული, როცა მას უკეთესი გაგრძელება ებმის... ჩვენ, ადამიანები სიკედილს კი არა, განშორებასა ვტირით-, ზოგი-დროებით, ზოგი - სამუდამოდ!..

შორენა, შენ წრფელად დაგიტირა ყველამ, შენმა სამეგობრომ, სამეზობლომ, ნათესავმა და ნაცნობმა, ორივე მხარის დედ-მამამ, ძმამ, მეუღლემზურა ბიჭაშვილმა, შვილმა ლუკამ, შენმა შორენამ, - ჩვენ, ყველამ, ვისაც სატირალთან ერთად სამაყოც გვაქვს, - ასეთი რომ იყავი და ჩვენი რომ იყავი!.. ყველა რომ რაღაცნაირი რიცით იყო განმსჭვალული შენი ზეციურად წმინდა არსების წინაშე... სამაგიეროდ, იქეთა სამყარო გაახარე და გაანათე, ჩვენო ლვთაებრივო არსებავ - გაახარე შენი ძმისდარი მაზლის „ზურიკო მეგრელას“ სახით!

შენი სიკეთით შეეწიე აქაურობას, დე სიკეთე და მშვიდობა სუფევდეს ყველგან. ამინ!

რიცითა და პატივისცემით
ვეჯება გავაშელი



დიდი ხელოვანის და მამულიშვილის, გიგა ჯაფარიძის მეუღლეს ონის და ამბროლაურის საზოგადოება კარგად იცნობს და აფასებს როგორც უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას, პატივს მიაგებენ მის დიდ ამაგს ხელოვანი მეუღლის წინაშე, ქალბატონი ლენა თავის მხრივ ერთგულად ემსახურებოდა მშობლიური კუთხის, - რაჭის კულტურული ცხოვრების საპატიო საქმეს რომელიც განუყოფელი ნაწილია ერთიანი ქართული კულტურისა.

ლენა შარაბიძე წარმოშობით ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელიდან გახლავთ, თუმცა კი თბილისში გაიზარდა, დაამთავრა №51-ე საშუალო სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი განაწილებით ამბროლაურში გააგზავნეს, სადაც ყოვლად ძლიერმა ბედისწერამ იმუამად ამბროლაურში მოღვაწე ხელოვანს, გიგა ჯაფარიძეს შეახვედრა, რათა მას გვერდით ჰყოლოდა პიროვნება, რომელიც მთელი შეგნებით და პასუხისმგებლობით გაიზიარებდა ხელოვანის ცხოვრების რთულ, მაგრამ მეტად საპატიო ბედს...

ქალბატონი ლენა მთელი თავისი ცხოვრება როგორც ფუტკარი სკას, ისე დაფუსფუსებდა ოჯახს, სადაც მზადდება წმინდა სანთელი უფლისათვის და არომატული თაფლი ადამიანებისათვის.

მან აღზარდა ორი კარგი შვილი, მერაბი და ქეთევანი, მშობლების კვალად სიკეთის მსახურნი, გონიერნი და განათლებულნი.

სამწუხაროდ, მერაბმა ადრე დატოვა ეს შფოთიანი წუთისოფელი, მაგრამ დარჩა ვაჟიშვილი, სახელოვანი, ბაბუის მოსახელე-გიგა, რომელსაც ჰყავს შესანიშნავი მეუღლე და შვილები, სანდრო და მარია.

ქეთევანი კი თავის მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად ინგლისში ცხოვრობს, მისი ვაჟი ლუკა - ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია ხელოვნების სფეროში.

ქალბატონი ლენა უაღრესად კარგი დიასახლისი და გულთბილი მასპინძელია. აქვს ჯანსაღი იუმორის გრძნობა, იგი თავის პირადულ სადარდებელს ირგვლივ მყოფთ არასოდეს ახვევს თავს და ყოფნის სულიერი ძლიერება იმისა, რომ პირადად გაუმჯობეს მას...

უყვარს ყვავილები, ბუნება, ბალში და ბალჩაში ფუფსფუსი, სადაც სულიერად ისვენებს.

ქალბატონ ლენასაგან ნათლად და გამოკვეთილად აღიქმება ქართული ლიტერატურის სიყვარული და ცოდნა. ამ მადლს კი ვაფასებდი, როგორც მისი ღრმად განათლებული მეუღლის სასიკეთო გავლენას.



გილოცავთ

გარკვეულ წილად შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ გარდა ამისა, ეს მადლი მისი ბუნებრივი ნიჭიერების და კარგი განათლების შედეგია. იგი მადლიერების გრძნობით იხსენებს, რომ ჰყავდა შესანიშნავი პედაგოგი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თავის მოსწავლეებზე, რადგან ნათლად ახსნა და შეაგნებინა, რომ ქართული დამწერლობა, ენა და ლიტერატურა არის უფლისაგან მირონფენილი.

და ეს ქალბატონი გახლდათ ფოცია კალანდაძე - ანა კალანდაძის მამის და, რომელმაც ისევე როგორც თავის მოსწავლეებზე, სასიკეთო გავლენა მოახდინა თავის ძმის შვილზე მომავალ პოეტზე, - რომელიც ერმა ქართული პოეზის დედოფლად აღიარა...

ქალბატონი ლენა რიგი საპატიო მიზეზების გამო ეკლესიურობას ვერ ახერხებს, მაგრამ იგი თავისი კეთილი ბუნებით და სადა ცხოვრების წესით ნამდვილი ქრისტიანია, მისი ერთ-ერთი წინაპარი იყო ლეთის მსახური - მღვდელი, რომლის მოღვაწეობის კეთილი მადლი, თალსაჩინოდ არის მოფენილი მის შთამომავლობაზე.

ხელთა მაქვს წიგნი „ხარჯისვთა კეთების ექ“ - გიგა ჯაფარიძის ლექსების კრებული, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „ჩემს ლენას, - ჩემი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს, ჩემი სპექტაკლების პირველ კრიტიკოსსა და მუდმივ მაყურებელს, ვუძღვი ამ პატარა კრებულს ოქროს ბეჭდისა და ბეჭვეულის მოსასხამის მაგივრად, იდლეგრძელე!“ - გიგა ჯაფარიძე.

სულიერება, ხშირად ვერ ამარცხებს მატერიალურს, მაგრამ როდესაც მაინც ახერხებს გამარჯვებას მისი ნათელი შუქი ადამიანებს უფლისაკენ სავალ გზას უნათებს...

